ლომი

№291 (12 361)

13 დეკემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცქიტიშვილი გერმანელებს შეუთანხმდა

ევროპის ჩემპიონატში რამდენიმე დღის განმავლობაში მყოფი ლევან ცქიტიშვილი თბილისში დაბრუნდა. როგორ განვითარდა მოვლენები გერმანიაში და რა პერსპექტივა აქვს ნახევარმცველს? ამ თემაზე სასაუბროდ ცქიტიშვილს გუშინ დავუკავშირდით.

- კაიზერსლაუტერნში თბილად მიმიღეს და მალევე სამედიცინო შემოწმებაც გავიარე. პარარელურად კლუბის ხელმძღვანელკებთანაც მქონდა შეხვედრები. ვესაუბრე მთავარ მწვრთნელ **კიეტილ რეკდალს,** სხვა ხელმძღვანელებსაც. მათ გვერდით იჯდა **კლაუს ტოპმიოლერიც.**

ჩემი საქმე გაიწელა, რამდენიმე დღით მომიწია გერმანიაში ყოფნა. უქმად ხომ არ ვიჯდებოდი, ჩემთვისაც კარგი იყო და "კაიზერსლაუტერნის" რამდენიმე ვარჯიშშიც მივიღე მონაწილეობა.

ინტერვიუ 2

ლევან ცქიტიშვილი (7) ლიტვასთან მატჩში

საქართველოში ერთადერთი ვარ

ინტერვიუ გიორგი ონიანთან 2



მოჭადრაკე გაგუნაშვილი საქართველოდან ნასვლაზე დაფიქრდა

ინტერვიუ 12

თექვსმეტნი მერვედში

ლიონის ფეხბურთელები მერვედფინალში გასვლას ზეიმობენ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ოლიმპიაკოსი
სელტიკი
პორტუ
ლივერპული
ჩელსი
არსენალი
რეალი
მილანი
ბარსელონა
მანჩესტერი
რომა
ინტერი
სევილია
შალკე
ლიონი
ფენერბახჩე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლევან ცქიტიშვილი

ინტერვიუ ლევან ცქიტიშვილთან

პირობებზე შევთანხმდით

ქართველები კაიზერსლაუტერნის ახალ სპონსორს ელიან

პირველი გვერდიდან

- "ლაუტერნში" შენი ძველი ნაცნობი ხომ არ იყო ვინმე?

- ერთი იყო, მალელი ფეხბურთელი დიარა. წლების წინათ "ფრაიბურგში" ერთად ვთამაშობდით.

- გერმანიაში კონტრაქტზე ხელმოსაწერად ჩახვედი, მაგრამ შენი ტრანსფერი ჯერ არ შემდგარა. ამის მიზეზი რა არის?

- "კაიზერსლაუტერნს" ახლა ფინანსურად უჭირს. ჩემი კონტრაქტის პირობებზე კი მოვრიგდით, მაგრამ ფინანსური გაჭირვების გამო კლუბი სპონსორს იცვლის. იმედი აქვთ, რომ მალე ახალი სპონსორი ეყოლებათ და გუნდსაც გააძლიერებენ.

- ახალი სპონსორთან კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში შენი ტრანსფერიც შედგება?

- დიახ, მითხრეს, რომ ერთ კვირაში გადაწყვეტენ ამ საკითხს და ჩემთან ახლა თუ არა, იანვარში გააფორმებენ კონტრაქტს. შესაძლოა 18 დეკემბერრსაც იყოს რამე სიახლე.

- "კაიზერსლაუტერნზე" რა წარმოდგენა შეგექმნა?

- ამ კლუბს ახლა უჭირს, თორემ არა მარტო გერმანიაში, არამედ მსოფლიო ფეხბურთში ცნობილი გუნდია და მდიდარი წარსულიც გააჩნია.

- მენთეშაშვილის საკითხი როგორაა?

- ზურაც ჩემთან ერთად იყო ტრანფერის საკითხზე რომ ვსაუბროდით. მასთანაც ჰქონდათ მოლაპარაკებები და მენთეშაშვილსაც უნდა გაევლო სამედიცინო შემოწმება.

- ზურა "შინიკს" ეკუთვნის და გერმანელებს დაუთმობენ რუსები?

- კაიზერსლაუტერნში ჩამოიყვანეს ზურა, მოლაპარაკებებიც წამოიწყეს და როგორც ჩანს რუსებთანაც ჰქონდათ საუბარი.

დავით ცაბაძე

გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო ინვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დანვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ინტერვიუ გიორგი ონიანთან

მე საქართველოში ერთადერთი ვარ

გიორგი ონიანის, ილია კანდელაკის, გიორგი სეთურიძის და რევაზ ბარაბაძის „კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის და ბოლო ტურში უშუალო კონკურენტთან წარმატებით ითამაშა - „კაიზერსლაუტერნს" სტუმრად 3:2 მოუგო. არადა, პირველ ტაიმში იენელები 0:2-ს აგებდნენ და ვინ იფიქრებდა, რომ „კარლ ცაისი" ასე შემოაბრუნებდა თამაშს.

24 წლის ონიანი ბოლო მატჩებში „კარლ ცაისის" სასტარტოშია და „ლაუტერნთანაც" რიგიანად გაისარჯა, არც ერთ გაშვებულ გოლში ბრალი არ მიუძღვის, „კიკერმა" მისი თამაში 3,5-ით შეაფასა.

ონიანი კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრებში მაშინ მიიწვია, როცა ჩვენი ეროვნული გუნდი სტუმრად გაეჯიბრა ლიტვას და საფრანგეთს, თუმცა მისთვის თავის გამოჩენის შანსი არ მიუცია - გიორგი ორივე მატჩში სათადარიგო იყო.

ონიანს ჯერ „კაიზერსლაუტერნთან" შეხვედრაზე ვკითხეთ...

მარჯვნივ გიორგი ონიანი

- გოლები ჩვენი უხეში შეცდომების გამო გავუშვით, მეორე გოლზე ჩვენს მეკარეს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა. ყოველივე ეს რომ არა, პირველ ტაიმში ისედაც ცუდად ვითამაშეთ. შესვენების შემდეგ ვალდას ივანაუსკასმა ჩვენი ორივე საყრდენი ნახევარმცველი შეცვალა, რაც სასკეთოდ ნაგვადგა. მეორე ტაიმის ოცდაათი წუთი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, სამი გოლი ცხრამეტ წუთში გავიტანეთ, თუმცა ისეთი თამაში წავიდა, კაცმა არ იცოდა, გოლი საით გავიდოდა.

- შენ და კანდელაკმა რა პოზიციაზე ითამაშეთ?

- ივანაუსკასი მანამდე ცენტრალურ მცველად მათამაშებდა, „ლაუტერნთან" კი მარჯვენა მცველად გადამწია, რადგან წინა მატჩებში მარჯვენა მცველების შეცდომის გამო გავუშვით გოლები. კანდელაკი კი „ლაუტერნთან" ხან მარცხენა მცველი იყო, ხან მარცხენა ნახევარმცველი.

- ივანაუსკასმა მეექვსე ტურიდან ჩაიბარა „კარლ ცაისი" - როგორია შენი შთაბეჭდილება ამ მწვრთნელზე?

- ივანაუსკასი ძალიან მომთხოვნი, დისციპლინაზე ძალიან აქცენტრირებული მწვრთნელია, დავალების შესრულებას მკაცრად ითხოვს. რაც ის მოვიდა, „კარლ ცაისმა" ქულების დაგროვება დაიწყო. რომ არა ეს ქულები, მეორე წრეში უშანსოდ დავრჩებოდით. მისი წინამორბედი ფრანკ ნოიბარტი მხოლოდ, ასე ვთქვათ, თავის ფეხბურთელებს ენდობოდა, გუნდი აგებდა თუ იგებდა, სულ ერთი და იგივე ხალხს ათამაშებდა, ივანაუსკასი კი ყველას აძლევს შანსს.

- სეთურიძის ჯანმრთელობა როგორ არის?

- ახლახან დაიწყო ვარჯიში ინდივიდუალური პროგრამით.

- მცირე ტრავმა ჰქონდა ბარაბაძეს...

- კოჭი აწუხებდა, თორემ ივანაუსკასი „ლაუტერნთან" სამატჩო განაცხადში შეყვანას უპირებდა. ბარაბაძემ ახალგაზრდულ ნაკრებში რუსეთთან რომ გაიტანა გოლი, ჩვენი მწვრთნელი ამანაც შეაგულიანა.

- „კარლ ცაისში" ვინ მიიჩნევა ლიდერად, შეტევაში ვის მიჰყავს გუნდის თამაში?

- ასეთი იან სიმაკია, ვინც მანამდე ბუნდესლიგაში თამაშობდა. გუნდის წამყვანი ფეხბურთელია ფილიპ ტაპალოვიჩიც. „კარლ ცაისში" კიდევ გვყავანან ბუნდესლიგამოვლილი ფეხბურთელები, თუმცა ისინი უკვე ასაკოვანი მოთამაშეები არიან და უწინდელივით ძლიერად ველარ თამაშობენ.

- „კარლ ცაისის" ყველაზე პრობლემატური რგოლი რომელია?

- ჩვენი უმთავრესი პრობლემა მეკარეა. გუნდში სამი მეკარე გვყავს და ისეთი შეცდომები დაუშვეს, შეიძლება ითქვას, რომ სამივეს აქვს გატანილი გოლი საკუთარ კარში. არადა, „კარლ ცაისს" ძალიან კარგი მეკარე ჰყავდა - წინა სეზონის მეორე წრეში გიორგი ლომაიამ მართლაც რიგიანად ითამაშა.

- რაც კი საქართველოს ჩემპიონატიდან მეორე ბუნდესლიგაში გადახვედი, ნაკრებში აღარ გიწვევენ, არადა, ალბათ შენც გეგონა, რომ გერმანიაში წასვლით შანსი მოგემატებოდა ეროვნულ გუნდში სათამაშოდ...

- თავიდან ვერ ვხვდებოდი „კარლ ცაისის" ძირითადში და ასეთ დროს ფეხბურთელს თუ არ იძახებენ ნაკრებში, პრეტენზიებიც არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ბოლო ხუთი ტურია, მწვრთნელი ძირითადში მათამაშებს. „ლაუტერნთან" თამაშის წინა დღეს კი ერთ-ერთ იქაურ გამოცემაში ტოპმიოლერის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც თქვა, ონიანი და კანდელაკი არ მჭირდება, მათზე უკეთესები მოდიანო. არ მესმის, თუ კლუბში ვთამაშობ, რატომ არ უნდა მქონდეს ნაკრებში თამაშის შანსი, მეორე ბუნდესლიგაზეც ხომ ვერ იტყვიან, ისეთი დაბალი დონეა, აქედან ფეხბურთელს ნაკრებში ვერ ავიყვანთო. მე ალბათ ერთადერთი ვარ საქართველოს ნაკრებში, ვისაც თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია. ივანაუსკასი კი ჩემით კმაყოფილია, „ლაუტერნთან" ნორმალურად ვითამაშე.

დავით თავართქილაძე

ქალთა ფეხბურთი

ბოგოევს მეტოქეები შეურჩიეს

დანია, ყაზახეთი, საფრანგეთი და მაკედონიაც

გუშინ ნიონში, უეფას შტაბბინაში, 17 და 19-წლამდე ქალ ფეხბურთელთა შორის ევროპის მომავალი ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა.

ჯერ 17-წლამდელებზე ვთქვათ. საქართველო I ჯგუფში მოხვდა, მეტოქეებად კი ბელგია, დანია და ყაზახეთი ერგო. ჩვენი ჯგუფის მატჩები, რომელსაც ბელგია უმასპინძლებს, გაისად შემოდგომაზე გაიმართება. ჯგუფური ეტაპიდან ელიტრაუნდში ორი საუკეთესო გადის.

რაც შეეხებათ 19-წლამდელებს, მე-9 ჯგუფში მოხვდნენ საფრანგეთთან, ბელგიასთან და მაკედონიასთან ერთად. ჩვენი ჯგუფის მატჩების მასპინძელი მაკედონია იქნება. ფინალური ეტაპი კი 2009 წლის ზაფხულში, 13-25 ივლისს ბელარუსში ჩატარდება. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გაისად 25-30 სექტემბერს გაიმართება.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

მოგება ჰეთ თრიკით

ლუქსემბურგი-საქართველო 0:5

12 დეკემბერი. ლუქსემბურგი. "გრენ-გელვალდი". 200 მაყურებელი.

0:1 კობახიძე (20. ნავალოვსკის პასით), 0:2 გოცირიძე (30. გრიგალაშვილის პასით), 0:3 ბუალავა (35. გოცირიძის პასით), 0:4 გოცირიძე (42), 0:5 გოცირიძე (87. ბეგლარიშვილის პასით).

საქართველო: თევდორაძე (70. ლორია), თომაშვილი (55. ბენაშვილი), სანაია (74. ჩიხრაძე), ხიდეშელი (70. დაუშვილი), ნავალოვსკი (კაპ.), ლობჟანიძე, ბუალავა, კლიმიაშვილი (75. შეყილაძე), გრიგალაშვილი, გოცირიძე, კობახიძე (55. ბეგლარიშვილი).

არბიტრი: ა. პირო (ბელგია)

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლუქსემბურგი გასვლით ამხანაგურ შეხვედრაში გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა. **პეტარ სეგრტის** ხელმძღვანელობით ეს ნაკრების პირველი გასვლითი გამაჯვებელია. აღსანიშნაია ისიც, რომ **ირაკლი შეყილაძემ, ზაქარია ბეგლარიშვილმა** და **გიორგი ჩიხრაძემ** ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად ითამაშეს. შეყილაძე კი სულაც 17-წლამდელთა ნაკრების წევრი გახლავთ. ამ შეხვედრაში ყველა პროდუქტიული **ბექა გოცირიძე** იყო, რომელმაც ჰეთ-თრიკი და ერთი საგოლე პასი მიითვალა. მატჩს ეროვნული ნაკრების თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი** და გუნდის ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** ესწრებოდნენ. ზურა რამდენიმე დღით კაიზერსლაუტერნში იყო ჩასული და უკან გაბრუნებამდე ახალგაზრდული ნაკრების თამაშის ნახვა გადაწყვიტა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ქართველების სრული უპირატესობით წარიმართა. გატანა ჩვენებს საწყის წუთებშიც მართებდათ, მაგრამ ორჯერ ბექა გოცირიძემ და ერთხელ **უჩა ლობჟანიძემ** კარგი შანსი ვერ გამოიყენეს.

პირველი გოლი **გიორგი ნავალოვსკის** გადაცემას მოჰყვა, შორეულ ძელთან მყოფმა **სანდრო კობახიძემ** თავურით ანგარიში გახსნა. ათიოდე წუთში გოცირიძემ **გრიგალაშვილის** პასით ანგარიში გაზარდა, 35-ე წუთზე კი **მირზა ბუალავამ** და ბექა გოცირიძემ ულამაზესი კომბინაცია დაასრულეს გოლით - გოცირიძემ მცველებს ბურთი თავზე გადაავლო და ბუალავა მეკარესთან პირისპირ დატოვა, მირზამ კი წინ გამოსულ გოლკიპერს გადაავლო ბურთი თავზე. ტაიმის დასრულებამდე 3 წუთით ადრე "ზესტაფონის" ფორვარდმა დუბლი მიითვალა. მატჩი ამხანაგური იყო, შეცვლები ლიმიტირებული არ გახხლდათ და პეტარ სეგრტმაც მეორე ტაიმში 6 ფეხბურთელი შეცვალა. შესვენების შემდეგაც მოედანზე ქართველები დომინირებდნენ. მატჩის მიწურულს გოცირიძემ დებიუტანტ **ბეგლარიშვილის** პასით ჰეთ-თრიკი მიითვალა.

"ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩემმა გუნდმა ასეთი ანგარიშით იმარჯვა. მსიამოვნებს, რომ გასვლით თამაშშიც მივაღწიეთ წარმატებას და ამავდროულად ზედიზედ მეორე მატჩში კარი მშრალად შევინახეთ. დღეს ახალგაზრდულ ნაკრებში ერთბაშად სამმა დებიუტანტმა ითამაშა", - მატჩის შემდეგ აღნიშნა ახალგაზრდული ნაკრების პეტარ სეგრტმა.

სფფ-ის პრესცენტრი

U17. სელექცია

ხონიდან დაიწყო

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისთვის ფეხბურთელების მოძიების მიზნით ხონის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა მატჩი, რომელშიც ერთმანეთს იმერეთის ორი ნაკრები გაეჯიბრა. შეხვედრას თვალს ადევნებდნენ 17-წლამდელთა მწვრთნელები **ასლან ბალაძე** და **ლევან ხომერიკი**. მათ მიერ შერჩეული ფეხბურთელებით დაკომპლექტდება იმერეთის ძირითადი ნაკრები. გარდა ამისა იმერეთის რეგიონული ფედერაცია მეორე ნაკრებსაც შეკრებს. ეს ორი გუნდი 17 დეკემბერს ლანჩხუთში სამეგრელოს პირველ და მეორე ნაკრებებს დაუპირისპირდება. იმავე დღეს ითამაშებენ აჭარისა და გურიის ნაკრებები. გამოჩეული ფეხბურთელებისგან დაკომპლექტდება დასავლეთ საქართველოს ნაკრები, რომელიც აღმოსავლეთის გუნდს შეხვდება და ასეთი გზით მოხდება საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებისთვის ფეხბუთელთა შერჩევა.

„კარგია, რომ სასელექციო მუაობამ ასეთი მაშტაბური სახე შეიძინა. პროგრამის ფაგლებში ერთ დღეში 76 ბავშვი გავსინჯეთ. ზაფხულში კი 1992 წელს დაბადებულ 250-ზე მეტ ბავშვს ვაკვირდებოდით. მაშინ ჩვენი რეგიონიდან ნაკრებში მხოლოდ მირცხულავა მოხვდა, თუმცა მაინც კმაყოფილები ვართ. მომავალში უკეთესი შედეგები გვექნება. ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივით ბავშვებს დიდი სტიმული გაუჩნდათ და უფრო მონდომებულები არიან. ფეხბურთის ფედერაციის მიერ ნიჭიერ ფეხბურელთა მოძიების პროგრამა წარმატებულად მიგვაჩნია და ფედერაციას ყოველმხრივ გვერდით დავუდგებით“ - აღნიშნა „ლელოსთან“ საუბარში იმერეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა **ვალერი მანაგაძემ**. მანვე ისაუბრა სახელმწიფოსა და ფედერაციის მიერ ქუთაისში განსახორციელებელ პროექტებზე: *„ფეხბურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქუთაისში აშენდება ევროპული სტანდარტების სტადიონი და ერთი სათადარიგო მოედანი. დაგეგმილია სტადიონის ტერიტორიაზე სპორტკომპლექსის გაკეთებაც. სახელმწიფოს აქვს ძალიან კარგი პროგრამა, რომლის მიხედვითაც დაფინანსდება უმაღლესი ლიგის 8 და პირველი ლიგის 6 გუნდი. კარგი იქნება თუ ამ პროგრამაში „ტორპედოც“ მოხვდება და ქუთაისში დიდი ფეხბურთი დაბრუნდება.“*

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან

ასლან ბალაძემ (ცენტრში) ბავშვების შერჩევა იმერეთიდან დაიწყო

დინამო-ზესტაფონი. საჯაია აკირემის წინააღმდეგ

ედიკ საჯაია „ზესტაფონში“ ერთი წლის წინათ ჩაირიცხა, რუსეთიდან დაბრუნებული, გულაცრუებული. მოსკოვის „ტორპედოში“ დიდი იმედებით წასულს კარიერა აერია.

მერე დაბრუნდა, მცირე ხანი თბილისის „ლოკომოტივში“ ითამაშა, შემდეგ კი „ზესტაფონი“ მისთვის შვებაც იყო. არც შემცდარა, ათამაშდა, სული მოითქვა და ნელ-ნელა ძველი საჯაია გაგვახსენდა, რომელიც 18 წლისა ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა. მისი დამსახურებაცაა, „ზესტაფონი“ ჩემპიონატის ლიდერებში რომ არის. თუმცა, ერთ წელიწადში 26 წლის მცველს გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება და რუსეთში წასვლაზე ფიქრობს:

ერთი წელიწადი დავრჩები...

საჯაია რუსეთის მოქალაქეობაზე ფიქრობს

- არაა გამორიცხული, რუსეთის მოქალაქეობა მივიღო. ჩემი მეუღლე მოსკოვშია გაზრდილი, ამ ქვეყნის მოქალაქეა და მეც წასვლას ვაპირებ.

- საქართველოს ნაკრებში თამაშზე არ ფიქრობ?

- ნაღდად არ ვარ უიმედოდ. „ზესტაფონში“ ჩამოსვლის შემდეგ ფორმა აღვიდგინე, ვგრძნობ, რომ ძველებურად და შესაძლოა, უკეთესად თამაშსაც ვახერხებ და უიმედოდ რატომ უნდა ვიყო?

- ევროპაში თამაშზე არ გიფიქრია?

- როგორ არ მიფიქრია, მაგრამ რუსეთში წასვლა უფრო რეალური მგონია.

- გულწრფელად თქვი, საქართველოში თამაში რთულია თუ პირიქით, ძალიან იოლი? რუსეთში გითამაშია და აქაურ დონეს შეაფასებდი.

- აქ რომ ჩამოვედი, 96 კილოგრამი ვიყავი და ვთამაშობდი. თქვენ რას ფიქრობთ, მიჭირდა? 96 კილოთი რუსეთში მოედანზე არც გამიშვებდნენ.

- ახლა ბევრით დაიკელი?

- 11 კილო დავიკელი. დროის სატარებლად არ ჩამოვსულვარ, ვვარჯიშობდი და ძველებური ფორმა აღვიდგინე.

- აბა, 96 კილოგრამიანს თუ არ გიჭირდა, დღევანდელი წონით კარგად უნდა იყო?

- ნორმალურად ვარ.

- შენი აზრით, „ზესტაფონს“ აქვს ჩემპიონისთვის საკმარისი პოტენციალი, ბრძოლისუნარიანობა, ბოლოს და ბოლოს, თავდაჯერებულობა?

- ჩვენ თუ არ გვაქვს ამის პოტენციალი, აბა, ვის აქვს?

- „დინამომ“, ბოლო ტურში ალალად გაჯობათ და პირველ ადგილზე გავიდა.

- გეთანხმები, „დინამო“ მართლაც ძლიერი გუნდია. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერ გვაჯობებდა.

- ბევრმა ზესტაფონელმა თქვა, თითქოს გუნდი, დიღმელაშვილის მიერ გატანილმა მოულოდნელმა გოლმა გატეხა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი 1:0-ზე უნდა ტყდებოდეს?

- მარტო ერთი ბურთი არაფერ შუაშია. გულწრფელად რომ ვთქვათ, იმ დღეს კარგად ვერ ვითამაშეთ. „ზესტაფონს“ გაცილებით მეტი შეუძლია. თუმცა, თამაშიც ჩვენთვის არასახარბიელოდ წავიდა. დიღმელაშვილმა ძალიან მაგარი ბურთი გაიტანა. მართალია, ძალიან შორიდან დაარტყა, მაგრამ ჭანტურიას ვერ გავამტყუნებ, ბურთი ძალიან უცნაური ტრაექტორიით წავიდა. საერთოდ, ეს ახალ ბურთებს ახასიათებს, მიმართულებას უცებ იცვლის.

ბოლოს და ბოლოს, ყველა თამაშს ვერ მოვიგებდით. პირველ წრეში მხოლოდ ერთი მატჩი წავაგეთ. სამწუხაროა, რომ ჩვენ კონკურენტთან წავიფორხილეთ.

- ბოლოს კითხვა, რმოელზეც გულწრფელად უნდა გვიპასუხო.

- დიახ, რა უნდა მკითხოთ?

- „ზესტაფონში“ რჩები. ხმები გავრცელდა, თითქოს საჯაია მანამდე აპირებს წასვლასო?

- ხომ გითხარით, კონტრაქტი ერთ წელიწადში მიმთავრდება. მანამდე აქ ვიქნები.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფრცე ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 355 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხაზიდან გაუჩვენლად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, ‘ველოდეთ, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. მგლები

ნამდვილი საფეხბურთო ქალაქი

ბესიკ შეროზია

პირველი ლიგიდან ამოსული ორივე გუნდი უმაღლეს ლიგას თავიდანვე გაუშინაურდა და იმთავითვე ცხადი გახდა, რომ „მგლებსა“ და „მესხეთს“ არა მხოლოდ უმაღლესში დასარჩენად ბრძოლა, წამყვანი ქართული კლუბებისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევაც შეეძლოთ. იმის მიუხედავად, რომ ზუგდიდელებმა პირველი წრის დასკვნითი ნაწილი წარუმატებლად ჩაატარეს და ზედიზედ ხუთი მარცხი განიცადეს, მათი სადებიუტო სეზონის პირველი ნახევარი მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. გულშემატკივარმა რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი გაიცნო, ზუგდიდელთა საკმაოდ დიდი ნაწილი კი ფეხბურთით ცოცხლობს. მოკლედ, უმაღლეს ლიგას საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და რაც მთავარია, თვითმყოფადი ბინადარი შეუერთდა.

ბესიკ შეროზია
მთავარი მწვრთნელი

„რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, ზუგდიდური კლუბი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა, რაც ჩვენი კუთხისთვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ვფიქრობ, „მგლებმა“ საკმაოდ რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა“.

საუკეთესო მატჩი

„მარცხის მიუხედავად, ყველაზე კარგად „დინამოსთან“ ვითამაშეთ, ამას გარდა, „ლოკომოტივსა“ და „დილასთან“ ჩატარებულ შეხვედრებს გამოვარჩევდი“

ყველაზე ცუდი მატჩი

„ყველაზე ცუდად ჩემი ფეხბურთელები „ბათუმისა“ და „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ გამართულ მატჩებში გამოიყურებოდნენ“.

პლუსი

„კონკრეტული ძლიერი მხარის გამოყოფა გამიჭირდება, ზოგადად კი, მოხარული ვარ, რომ სადებიუტო სეზონს ასეთ დონეზე ვატარებთ“.

მინუსი

„საგოლე მომენტების რეალიზებაში მოვისუსტებთ და ამ კომპონენტის გამოსასწორებლად ბევრი შრომა გვმართებს“.

პროგრამა მინიმუმი

„ჩემპიონატის საუკეთესო რვა გუნდს შორის დასამკვიდრებლად ვიბრძოლებთ“.

პროგრამა მაქსიმუმი

„მეშვიდე ადგილზე რომ გავიდეთ, კარგი შედეგი იქნება“.

მზადება მეორე წრისთვის

„გუნდი 8 იანვარს შეიკრიბება, სამედიცინო შემოწმების გავლას ორი დღე დასჭირდება, რის შემდეგაც მზადებას ზუგდიდში დავიწყებთ. ამის შემდეგ კი ან ურეკში გავივლით შეკრებას, ანაც ქობულეთში“.

საკადრო პოლიტიკა

„შემადგენლობაში გარკვეულ კორექტივებს შევიტანთ, თუმცა ამაზე საუბარი ჯერჯერობით, ნაადრევია“.

ფინანსური მდგომარეობა

„ამ ეტაპზე კლუბი ნორმალურად ფინანსდება, სერიოზული პრობლემები არ გვაწუხებს“.

რჩეული შეგირდები

„ჩვენი გუნდი ყველა რგოლში თანაბრადაა დაკომპლექტებული, ასე რომ, ვინმეს გამორჩევისგან თავს შევიკავებ“.

პირველი წრის რჩეულნი

1. რევაზ ჯიქია (ოლიმპი)
2. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
3. ედიკ საჯაია (ზესტაფონი)

მგლები და ქომაგი

„შესანიშნავი გულშემატკივრები გვყავს, რომლებიც მუდამ მხარში გვიდგანან. კარგადიცით, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ძალიან ცოტა ხალხი ესწრება, გამონაკლისი მხოლოდ ზესტაფონი და ზუგდიდია. „მგლების“ საშინაო თამაშებზე 3-4 ათასი ადამიანი სტაბილურად დადის“.

მსაჯობა

„მსაჯობის დონე აშკარად იზრდება. შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ არა მგონია, არბიტრებს რომელიმე გუნდი გამიზნულად დაეჩაგრათ“.

ორი ჩემპიონატის შედარება

„მიმდინარე და წინა ჩემპიონატის დონეებს შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ. სანამ მოედნების პრობლემას არ მოევლება, პირველობის დონის ამაღლებაზე საუბარიც არ შეიძლება“.

სკანდალები

„ქართველები ვართ და ხშირად უკიდურესი რადიკალიზმი გვახასიათებს. სჯობს, უსაფუძვლო ამბიციებზე მაღლა საერთო საქმის ინტერესები დავაყენოთ. მეტი პროფესიონალიზმი გვმართებს, მაღალი მიზნებისთვის კი პატიოსნად უნდა ვიბრძოლოთ“.

პროგნოზები

„არა მგონია, „ვიტ ჯორჯია“ საჩემპიონო რბოლას ბოლომდე შემორჩეს. „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ კი, ჩემი აზრით, ოქროს მედლების მოპოვების აბსოლუტურად თანაბარი შანსი აქვთ. თასისთვის კი „დინამო“, „ზესტაფონი“ და „ამერი“ იბრძოლებენ“.

ლევან ჯანელიძეშვილი

მგლები | წრეში



	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. ბორჯომი	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლები	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	13	4	3	6	16:17	15
10. სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
11. მერანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. ბათუმი	13	1	1	11	5:28	4

მესხეთი

	მატჩი	ერთიანობა	გოლი	სანქციები	სულ
მაჭავარიანი	13	13	-	1	-
ივარდავა (მეკ.)	12	11	-15	1	-
ქირია	12	11	2	1	-
გაგედავა	12	4	1	2	-
მ. კაკაბაძე	11	11	-	2	-
ხუბუა	11	11	-	3	-
ბაკარანძე	11	5	2	-	-
ეძონია	10	10	-	3	-
ვართაგავა	10	10	-	2	1
ჯოჯუა	10	10	-	1	1
ჭედია	9	9	6	1	-
კრასოვსკი	9	9	1	1	-
ლ. კუტალია	9	5	2	4	-
ფარულავა	8	8	-	-	-
წურწუმია	8	3	-	-	-
ლიპარტია	6	-	-	-	-
ნარსია	4	3	-	-	-
ძოგითიანი	4	2	-	-	-
ხუხია	3	3	-	-	-
ზ. ჯანაშია	3	3	-	1	-
ტკაჯუა	3	-	-	-	-
ჭითანავა (მეკ.)	1	1	-3	-	-
დევაძე (მეკ.)	1	1	-1	-	-

I ტური
10.08 ს მესხეთი 0:1

II ტური
17.08 შ მერანი 1:0
გოლი: ჭედია

III ტური
25.08 ს ზესტაფონი 0:2

IV ტური
2.09 შ სპარტაკი 2:0
გოლები: ბაკარანძე, გაბედავა

V ტური
14.09 ს ლოკომოტივი 1:0
გოლი: ქირია

VI ტური
22.09 შ დინამო 1:2
გოლი: ქირია

VII ტური
28.09 ს დილა 3:1
გოლები: ჭედია (2), კრასოვსკი

VIII ტური
6.10 შ ბათუმი 1:0
გოლი: ჭედია

IX ტური
21.10 ს ოლიმპი 1:2
გოლი: ჭედია

X ტური
27.10 შ ამერი 0:1

XII ტური
24.11 შ ვიტ ჯორჯია 0:3

XIII ტური
2.12 ს ბორჯომი 3:4
გოლები: ლ. კუტალია (2), ჭედია

XI ტური
6.12 ს სიონი 1:3
გოლი: ბაკარანძე

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულშემატკივარი მსჯელობს

ფეხბურთელი და კლუბის ღირსება

ბორის პაიჭაძე

მეოცე საუკუნის მიწურულს ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში ქართველთა დიდი მეგობარი **ვალენტინ ივანოვი** - სპორტის დამსახურებული ოსტატი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბოლო დროს ფეხბურთი რამდენადმე ცილდება სპორტის ფარგლებს და ბიზნესის გარემოში ეფლობაო. ამის უამრავი მაგალითი მოყავდა... „კუზმა“ დასძენდა რომ ფეხბურთელთა უმრავლესობა არად დაგიდევს კლუბის ღირსებას და ფულს ანაცვალებს მასო. ფეხბურთელთა უმრავლესობის აზრით, სანამ მუხლი გერჩის, ფული უნდა აკეთო... თორემ ბოლოს გვიან იქნებაო. მიუხედავად ამ და სხვა გარემოებებისა, მოიძებნებიან ფეხბურთის „ვარსკვლავები“, რომლებისთვისაც წარმოუდგენელი იყო სხვა კლუბში გადასვლა. ასე მაგალითად, ბრაზილიელ **ადემირს** რომელიც 1950 წელს თანაგუნდელ **დანილოსთან, ჟაირთან, ჩიკოსთან** ერთად შეიყვანეს მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში, ბრაზილიის ქალაქ სან-პულუს სტადიონ „პალმეირასის“ შესასვლელთან ძეგლიც კი დაუდგეს ერთგულებისთვის, რადგა მას „პალმეირასის“ და ბრაზილიის ნაკრების გარდა, არსად უთამაშია. „პალმეირასში“ არანაკლები „სიკაშკაშის ვარსკვლავები“ **ჯალმა სანტოსი** და **კარლოს ალბერტოც** თამაშობდა - თუმცა ორივე ათგანი სხვა კლუბებშიც გამოდიოდა.

ადემირო დღემდე ითვლება ბრაზილიური ტორსიდას სათაყვანებელ კერპად ერთგულებისთვის. შემდგომში ბრაზილიამ უამრავი ფეხბურთის „ვარსკვლავი“ შესძინა საფებურთო სამყაროს, მაგრამ მათმა უმრავლესობამ ვერ გაუძლო ცდუნებას და სათამაშოდ სხვადასხვა ქვეყანას მიაშურა. მათ შორისაა **პელე, გარინჩა, დიდი** და მრავალი სხვა. ამ მხრივ არც ევროპა ყოფილა გამონაკლისი. 60-იანი წლების „უგვირგვინო მეფემ“ **ჯორჯ ბესტმა**, რომელიც „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახლდათ, ყოველგვარი რეკორდი მოხსნა და, კაცმა არ იცის, რამდენ კლუბში აქვს ითამაშა ოკეანის გაღმა თუ გამოღმა. მადრიდის „რეალში“ კი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სუპერვარსკვლავები **პუშკაში, დიდი, დი სტეფანო** თამაშობდნენ, გამორჩეული იყო **ფრანსისკო ჰენტო**, რომელმაც ოცი სეზონი გაატარა „რალში“ ისე რომ, არსად გადასვლაზე არ უფიქრია. ბრაზილიელი ადემირის მსგავსად, მისთვის მთავარი იყო არა ფული, არამედ კლუბის ღირსება. ასევე კლუბის ღირსებას დიდად უფრთხილდებოდა იტალიელი **ჯანი რივერა**, ბრიტანელი **ბობი ჩარლტონი**, პორტუგალიელი **ეუსებიო**, ყველა მათგანი დღესაც მშობლიური კლუბების „მილანის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „ბენფიკას“ გულშემატკივარია. კლუბის ერთგული ფეხბურთელები მრავლად მოიძებნებოდა საბჭოურ ფეხბურთშიც - ვ. ივანოვი, **სტრელცოვი, ვორონინი** - მოსკოვის „ტორპედოში“, **იაშინი** - „დინამოში“, **ნეტო** და **სიმონიანი** „სპარტაკში“. ახლა ქართულ ფეხბურთშიც ჩავიხედოთ. თბილისის „დინამოს“ მაისური გასული საუკუნის ფეხბურთელთათვის კლუბის ღირსებაზე მეტიც კი იყო. სხვა გუნდში თამაში ვერ წარმოედგინათ **ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯეჯელავას, გრიგოლ გაგუას, ავთანდილ ღოლობერიძეს, გივი ჩოხელს, ვლადიმერ ბარქაიას, ალექსანდრე ჩივაძეს**. ქართული ფეხბურთის ამ „ვარსკვლავებს“ არც ქუთაისელი **ჯემალ ხერხაძე** ჩამორჩა. მიუხედავად არაერთგზის შეთავაზებისა, იგი ბოლომდე ქუთაისელად დარჩა. სხვა გუნდში რომ გადასულიყო ალბათ, ნამდვილად ვერ მოიხვეჭდა იმ სახელს, რაც მან დაიმსახურა. სამწუხაროდ, ჯემალ ხერხაძე გამოდიოდა იმ დროს, როდესაც საფეხბურთო სამყაროში ბრწყინავდა **მიხეილ მესხი**, რომელსაც მეტოქეობას ვერავინ უწევდა. ისე, როგორც ადემირი, ჰენტო, ბობი ჩარლტონი, იაშინი, სტრელცოვი, ალ. ჩივაძე - ჯემალ ხერხაძე დარჩება ქუთაისელ ფეხბურთელთის მოყვარულთა სათაყვანებელ კერპად და, ალბათ, დადგება დრო ადემირის და სტრელცოვის მსგავსად, მასაც ძეგლს დაუდგამენ ქუთაისის „ცენტრალური“ სტადიონის შესასვლელში. აქვე მინდა მოვაგონო ფეხბურთის გულშემატკივრებს, რომ ჯემალ ხერხაძე არაფრით ჩამოუვარდებოდა თვით ფრანსისკო ჰენტოს, **კურტ ჰამრინს, დრაგან ჯაიჩს** და ბევრ სხვას. ამაზე გაკვრით, მაგრამ მაინც აღნიშნავდა ბევრი მისი თანამედროვე საბჭოთა თუ უცხოელი ფეხბურთის სეციალისტი. ახლა დღევანდელ თბილისის „დინამოს“ შევეხოთ. ექვსი უცხოელი ფეხბურთელი მესხის და მეტრეველის სამშოლოში, მეტისმეტი ხომ არაა? უდავოდ დაებადება ეს რიტორიკული შეკითხვა ფეხბურთის მოყვარულს. არც ნაკრებშია საქმე მაინცდამაინც აწყობილი, ჯგუფში ბოლოსწინა ადგილს რომ დაიკავებ და მსოფლიო ჩემპიონობისკენ გიჭირავს თვალი - სიღარიბის უპირველესი სიმპტომია და სხვა არაფერი - ხომ გაგიგონიათ კაცი მაშინაა ღარიბი, როდესაც სურვილი ჭარბობს მის შესაძლებლობას.

ისე, ცამდე მართალია ფეხბურთის ის ქომაგი, რომელსაც ტელევიზიით, ახლახან განუცხადებია, ჯერ ლიტვის დონეზე თამაშს მივაღწიოთ და სხვა რამეზე მერე ვილაპარაკოთო. რაც შეეხება თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ურთიერთდამოკიდებულებას, მათ შორის ხიდია ჩატეხილი. სამართლიანობისთვის უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს წამყვანი კლუბი თბილისის „დინამო“ იქნება თუ „ზესტაფონი“ - საქარველოს ფეხბურთელთა ნაკრების ლაბორატორია უნდა იყოს, სადაც მწვრთნელებს საშუალება ექნებათ დანერგონ თანამედროვე საფეხბურთო ტაქტიკური ვარიანტები, ურომლისოდაც რაიმე წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების დამრიგებელი გაიძახის ფანტასტიკური ნაკრები შევქმენიო და კრიტიკა ჭირის დღესავით ძულს. ისე, როგორც ფეხბურთის მოყვარული, 60 წლიანი გამოცდილებით, გავბედავ და ვიტყვი, რომ **ანდრო ჟორდანია** დღევანდელი ნაკრების კონტიგენტით მატჩს ლიტვასთან კი არპ წააგებდა, არამედ მოიგებდა, რადგან უმოტივაციო მატჩში იგი გაბედულ ექსპერიმენტს განახორციელებდა და შედეგიც ადეკვატური ექნებოდა. სანამ ჩვენი ფეხბურთი უცხოელ დამრიგებელთა ტყვეობაში იქნება, ფეხბურთს არაფერი ეშველება, რომელ ჯგუფშიც გინდა მოხვდეს ეროვნული ნაკრები. ქართულ ფეხბურთს, როგორც ეს ხატოვნად შენიშნა ყოველკვირეული „ფუტბოლის“ პირველმა რედაქტორმა **მარტინ მერჟანოვმა**, მწვრთნელი და ისიც უმაღლესი რანგისა, პირველი ადგილის დასაკავებლად ჭირდებათ (და არა ბოლოსწინა ადგილისა), რადგან - „გრუზინი იგრატ უმეიუტ, ი იგრაიუტ“! დასძენდა ფეხბურთის ქურუმი. ბატონი ტოპმიოლერი არ იცნობს ქართული ფეხბურთის რეზერვს და შთაბეჭდილება რჩება, ათამაშებს მხოლოდ მათ, ვისაც წარუდგენენ.

ალექსანდრე ჩივაძე

შესარჩევ ჯგუფში ბოლოსწინა ადგილს უმწვრთნელოდაც დაიკავებდა საქართველოს ნაკრები. ვალენტინ ივანოვი ამბობს მწვრთნელის როლი გუნდის ფორმირებაში და შესაბამისად სწორი ტაქტიკის არჩევაში, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ არა უმეტეს 40%-ისა. დანარჩენი თვითონ ფეხბურთელებმა უნდა გადაწყვიტონ მოედანზე შექმნილი სიტუაციის შესაბამისად.

ახლა რაც შეეხება საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ჯგუფიდან გასვლის საკითხს. ერთი შეხედვით საშუალო სიძლიერის ჯგუფის მიუხედავად, ეს საკმაოდ პრობლემატური ჩანს, რადგან ბულგარეთს და ირლანდიას მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ასპარეზობებზე არაერთგზის უასპარეზიათ. ორივე ნაკრები „კერკეტი კაკალია“ ნებისმიერი ქვეყნისთვის. ჩერნოგორია და კვიროსიც არაა ფარერის კუნძულების დარი, წინასწარ რომ დაგეგმო მათთან ქულები. ასე რომ, ჯგუფი, რომელშიც საქართველოს ნაკრები მოხვდა საკმაოდ განწონასწორებულია, მით უმეტეს ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ფეხბურთი, ჩვენგან განსხვავებით, არნახულ აღმავლობას განიცდის, ჩვენთან კი ეროვნული ჩემპიონატი გერის როლშია, მატჩების უმრავლესობა უმაყურებლოდ ტარდება, თვალშისაცემია თამაშის დაბალი ტემპი და არასათანადო სათამაშო დისციპლინა. ბევრი ფეხურთელი ტექნიკური მომზადების ხარჯზე ცდილობს ფონს გავიდეს და ერიდება ათლეტურ შერკინებას, რომელიც ამ ბოლო დროს თანამედროვე ფეხბურთის ქვაკუთხედადაც კი იქცა. ძირფესვიან გარდაქმნას მოითხოვს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი, რადგან ქართული ფეხბურთი მოწყვეტილია რეგიონულ შევსებას. მარტო თბილისის პირველობას დამსგავსებული ჩემპიონატით შორს ვერ ნავალთ. მარტო სტადიონების აშენება უშველის საქმეს? ხომ გაგიგონიათ: „ეშმაკი გუდას ალბობდა, ღვინო კი არსად იყოო“...

ავთანდილ ღოლობერიძე

ფოტოები www.sportphoto.ge-დან

დემურ ტორაძე



გამგელდება იენს ლემანი?

მოსალოდნელი ტრანსფერი

უკვე ოფიციალურად: ვოლფსბურგს ლემანი უნდა

ფოლკსვაგენმა მაგათს მწვანე აუნთო

ცოტა ხნის წინათ, სპეკულაციების დონეზე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დიდი შანსი იყო, **იენს ლემანი** „არსენალიდან" „ვოლფსბურგში" გადასულიყო. მაშინ „მგლების" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** თქვა, გამორიცხული არაფერიაო, თუმცა არაფერი დააკონკრეტა. სამაგიეროდ, ახლა უკვე ოფიციალურად ცნობილი ფაქტია, რომ „ვოლფსბურგს" ზამთარში გერმანიის ნაკრების 38 წლის მეკარის გადაბირება სურს.

„ვოლფების" სამეთვალყურეო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის **შტეფან გრიუზემის** თქმით, რომელიც „ვოლფსბურგის" მთავარ დამფინანსებელ „ფოლკსვაგენის" ბოსთან, **მარტინ ვინტერკორნთან** დაახლოებულია პირია, ლემანის VFL-ში ტრანსფერი სასარგებლო იქნება როგორც გერმანული კლუბისთვის, ასევე იენსისთვისაც. *„მეტსაც გეტყვით, ეს ორივე მხარისთვის იდეალური გამოსავალია,"* – ამბობს გრიუზემი და იქვე აგრძელებს, - *„იენსს ჩვენთან სათამაშო პრაქტიკა ექნება, ჩვენ კი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს მივიღებთ, რომელიც "არსენალს" რატომღაც აღარ სჭირდება. გადმოვიდეს და მშვიდად მოემზადოს ევროპის ჩემპიონატისთვის"*

„ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება, თუ ლემანი ისევ ათამაშდება და თავს ისევ ძირითად გოლკიპერად იგრძნობს. „ვოლფსბურგი" იენსისთვის თითქმის იდეალური გამოსავალია, თუ ამ გუნდში გადავა, მუდმივად კარგ ფორმაში იქნება და თანაც, ფელიქს მაგათის სახით, ჩინებული მწვრთნელის ხელში ივარჯიშებს. შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავ ფიზიკურ კონდიციაში იქნება," – ეს სიტყვები ბუნდესგუნდის მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკეს** ეკუთვნის. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი** მზადაა, ლემანის გაშვებაზე სერიოზულად დაფიქრდეს.

ცოტა არ იყოს, უცნაურია ის ფაქტი, რომ გუშინ ვენგერმა ჩემპიონთა ლიგის მატჩში (სტიაუასთან) 19 აგვისტოს შემდეგ ლემანი პირველად ათამაშა სასტარტო შემადგენლობაში. ეს იმიტომ, რომ „არსენალი" უმოტივაციო იყო და ვენგერმა ლემანს ეს თამაში უბრალოდ უწყალობა. თუმცა, „მეთოფეთა" დამრიგებელმა, იენსი ყველასათვის მოულოდნელად, ძალიან აქო. *„იენსის განწყობა იდეალურია. ის ნამდვილი პროფესიონალი და ყველასათვის მისაბაძი მაგალითია. მაგრამ ის, რომ ახლა ითამაშა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება. მე მას ვერაფრის გარანტიას ვერ მივცემ,"* – აღნიშნა ვენგერმა გუშინ, „სტიაუასთან" მატჩის წინ.

მოკლედ, „ვოლფსბურგს" გზა ხსნილი აქვს. ამბობენ, ლემანისთვის ბრძოლაში „მანჩესტერ სიტიც" ჩაებაო. **სვენ გორან ერიქსონს** თურმე იენსის არენდით აყვანა უნდა, რადგან ორივე მეკარით (**შმაიხელი** და **ჰარტი**) უკმაყოფილოა...

გოტფრიდ ლენცი

დიეგო მილიტო

მანჩესტერ სიტი

დიეგო მილიტო სვენმა მოიკითხა

დიეგო მილიტო „მანჩესტერ სიტის" დაინტერესების ობიექტივში მოექცა. ინგლისელებს სურთ, არგენტინელი ფორვარდი იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე გადაიბირონ. **სვენ გორან ერიქსონი** მილიტოს საუკეთესოდ ახასიათებს და მიიჩნევს, რომ გუნდის თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. „სარაგოსის" ხელმძღვანელობა მანჩესტერელთა ინიციატივას ძალიან მტკივნეულად შეხვდა. ისინი აცხადებენ, რომ მილიტო გუნდის წამყვანი ფორვარდია და მისი გასხვისება არაგონელებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. თავად არგენტინელი კი „სიტის" შეთავაზებით კმაყოფილია, მაგრამ ფიქრობს, რომ „სარაგოსას" ზურგსუკან მოქმედება ღალატის ტოლფასი იქნება: *„დიდი პატივია, რომ ისეთი ტრადიციული და ძლიერი კლუბი გამოთქვამს ჩემთან თანამშრომლობის სურვილს, როგორიც „მანჩესტერ სიტია". მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, თუმცა მსურს საქვეყნოდ განვაცხადო, რომ მე „სარაგოსის" საკუთრება ვარ. ამ გუნდმა ძალიან ბევრი რამ მომცა და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ ერთი ნაბიჯის გადადგმასაც არ ვაპირებ. ვფიქრობ, ჩემი გუნდის ზურგსუკან მოქმედება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ღალატი."*

ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, მანჩესტერელები ტრანსფერის გაჩარხვის შესაძლებლობას ოპტიმისტურად აფასებენ. ისინი ამბობენ, რომ არაგონელებს სოლიდურ თანხას შეთავაზებენ და მათ უარის თქმა გაუჭირდებათ. სამწუხაროდ, თანხის კონკრეტულ რაოდენობას ამ ეტაპზე არ ასახელებენ.

ბაიერნი. მწვრთნელი ალაპარაკდა

ჰიტცფელდის სიტყვა

ოტმარი ჩივის: ვის უნდა მოვთხოვო დისციპლინა, როცა კაპიტანია უდისციპლინო?

ოლივერ კანის დასჯიდან (გუშინდელ ნომერში ვწერდით) ერთი დღის შემდეგ, ამ ამბავთან დაკავშირებით, „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** პირველი კომენტარები გააკეთა. როგორც იცით, გუშინწინ ჰიტცფელდმა ყველასათვის მოულოდნელად, ოლი გუნდიდან ერთი მატჩით მოკვეთა, რასაც გერმანიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ჰიტცფელდის თქმით, იანვრიდან რეკორდმაისტერში მის მიერ შედგენილი ე.წ. „ქცევების კოდექსი" ამოქმედდება, რომელსაც აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი უნდა დაემორჩილოს. „გენერალი" კანონებს უახლოეს მომავალში ჩამოწერს და ეგზემპლარებს ფეხბურთელებს დაურიგებს. რაც შეეხება კანის დასჯას, ჰიტცფელდი ამბობს, ეს აუცილებელი იყო და ამას თავიდან ვერ ავიცილებდითო. *„ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ყველამ იცოდეს: „ბაიერნი" ერთიანი გუნდია. ჩვენ ყველანი ერთ მთლიანობას წარმოვადგენთ,"* – ამბობს ჰიტცფელდი და იქვე დასძენს, - *„არცერთ ფეხბურთელს არ აქვს იმის უფლება, რომ თანაგუნდელი გააკრიტიკოს. ეს რომ დავუშვათ, მაშინ სრულ ქაოსს მივიღებთ."*

როგორც ხედავთ, ჩვენი გერმანელი კოლეგების მიერ გამოთქმული ვარაუდი გამართლდა. კანის დასჯის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მან „დუისბურგთან" ფრის შემდეგ **ფრანკ რიბერი** და **ლუკა ტონი** გააკრიტიკა (გუშინდელ ნომერში ამაზეც დაწვრილებით გაცნობეთ). ჰიტცფელდი: *„განა მე მაქვს იმის უფლება, რომ დისციპლინა მოვთხოვო რომელიმე ფეხბურთელს, თუკი კაპიტანი არ იქნება დისციპლინირებული? ცხადი იყო, რომ რაღაც უნდა მელონა და აი, ვიღონე კიდეც. მიხარია, რომ კანმა ჩემი გადაწყვეტილება მიიღო და გაითავისა."*

ჰიტცფელდის საუბრიდან ისიც ირკვევა, რომ გამართლდა კიდევ ერთი ვარაუდი და კერძოდ ის, რომ კანის დასჯის მიზეზი მისი წინასაშობაო ზეიმიდან ნაადრევად წასვლაც იყო. ესეც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რის გამოც კანი „ჰერტასთან" არ ითამაშებს და ამასთან ერთად, გუნდის ბიუჯეტში 25 000 ევროს ჩარიცხავს. *„ოლივერ კანი „ბაიერნის" კაპიტანია და შესაბამისად, ის ყველასათვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს,"* – ამბობს ჰიტცფელდი, - *„მიმაჩნია, რომ სწორად არ მოიქცა, როცა ნაადრევად დატოვა საღამო. დაუშვებელია ის, რომ კაპიტანი სახლში ან სადმე სხვაგან ყველაზე ადრე წავიდეს. კაპიტანი ვალდებულია, ყველა თანაგუნდელს პატივი სცეს!"* - რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ნუთუ 38 წლის კანს სჭირდება იმის სწავლება, თუ როგორ უნდა იქცეოდეს კაპიტანი?

ასეა თუ ისე, ჰიტცფელდისთვის ამ გადაწყვეტილებით ეს თემა ამოწურულია: *„ოლის კაპიტნობას საფრთხე არ ემუქრება. ის კვლავინდებურად გუნდის თავი იქნება."* ცხადია, მომავალ ოთხშაბათსაც (19 დეკემბერს), როცა რეკორდმაისტერი უეფას თასზე სალონიკის „არისს" დაუპირისპირდება. შაბათს კი, „ჰერტასთან", FCB-ს კარს **მიხაელ რენზინგი** დაიცავს.



ოტმარ ჰიტცფელდი

დაბოლოს: გუშინ გავრცელდა ინფორმაცია (ბილდი) იმის შესახებ, რომ ჰიტცფელდმა ასეთი ნაბიჯი „ბაიერნის" ხელმძღვანელების ზეწოლის შემდეგ გადადგა – თითქოს კანის დასჯა მას ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** და მენეჯერმა **ული ჰოინესმა** აიძულეს. ეს ინფორმაცია ოტმარმა კატეგორიულად უარყო, ამაზე დიდი სიცრუე არასდროს მომისმენია, გადაწყვეტილება თვითონ მივიღე, რის შემდეგაც ამის თაობაზე ბოსებსაც ვაცნობეთ...

გოტფრიდ ლენცი

ატლეტიკო

აგუერო სიმართლისათვის იბრძვის

„ატლეტიკოს" მესვეურებმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში **სერხიო აგუეროს** დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით აპელაცია შეიტანეს. ისინი მჩიჩნევენ, რომ არგენტინელი ფორვარდი „ხეტაფესთან" მატჩში მსაჯმა უსამართლოდ დასაჯა. შეგახსენებთ, მას ყვითელი ბარათი ორჯერ უჩვენეს. სააპელაციო კომიტეტი საქმეს კარგად გაეცხნო და დაადგინა, რომ ერთი ყვითელი ბარათი მას მართლაც უსამართლოდ უჩვენეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაძევების გამო აგუეროს მომდევნო ტურის შეხვედრის გამოტოვება არ მოუწევს. როგორც ამბობენ სადისციპლინო კომიტეტის ეს გადაწყვეტილება „ხეტაფეს" დამრიგებლის **მიქაელ ლაუდრუპის** განცხადებამ განაპირობა. დანიელმა სპეციალისტმა გულწრფელად თქვა, რომ აგუერო გაძევებას არ იმსახურებდა.

ამასობაში, ტრავმებით შეწუხებულმა **ხავიერ აგირემ** საიანვრო ტრანსფერების აუცილებლობაზე ჩამოაგდო სიტყვა, „ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელი ამბობს, რომ ტრავმირებული მოთამაშეების გამოჯანმრთელებამდე გუნდი საჭირო კადრების გარეშე ვერ იარსებებს. ამიტომ, ხელმძღვანელობამ რამდენიმე მოთამაშის გადაბირება უნდა შეძლოს. თუნდაც, ეს იჯარის წესით მოხდეს. **ენრიკე სერესო** მწვრთნელის სულისკვეთებას სრულიად იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასაწყისში „როიბლანკომ" ძალიან დიდი ფული დახარჯა, სენიორ სერესო მზადაა, დამატებით კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი ევრო მოიძიოს და გუნდი საჭირო კადრებით შეავსოს. ექსპერტების ვარაუდით, „როხიბლანკო" იანვარში 10-დან 15 მილიონ ევრომდე დახარჯავს.



სერხიო აგუერო



დავიდ ვილია

ვალენსია

ვილია სამი კვირა დაისვენებს

გუშინ ლონდონიდან დაბრუნებულ **დავიდ ვილიას** „ვალენსიის" ექიმებმა სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. დაადგინეს, რომ მათი კლუბის საუკეთესო ფორვარდმა „ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მარცხენა ბარძაყის კუნთი დაიჭიმა. ასეთი ტრავმა სულ მცირე სამკვირიან მკურნალობას საჭიროებს. გამოდის, ვილია მომავალ უქმეებზე „ბარსელონასთან" პრინციპულ შეხვედრაში ვერ იასპარეზებს. ამ გარემოებით შეშფოთებულმა **რონალდ კუმანმა** განაცხადა: *„უდავოა, ვილიას გარეშე „ბარსელონის" დამარცხება ერთი-ორად გაგვიჭირდება. ძალიან ვწუხვარ, რომ დავიდმა ლონდონურ შეხვედრაში ტრავმა მიიღო. ის თავდადებული ფეხბურთელია და ისეთ ორთაბრძოლებსაც არ არიდებს თავს, რომელთა მოგების 30-პროცენტიანი შანსიც კი არ არსებობს. პრაგმატული თვალსაზრისით შესაძლოა, ამგვარი ქმედება არ იყოს გამართლებული, მაგრამ შეუძლებელია, ფეხბურთელს მოსთხოვო ორთაბრძოლებისას თავი დაზოგეთქო. ვინ განსაზღვრავს წმის მეათედში შესაძლებელია თუ არა, ამა თუ იმ ორთაბრძოლაში ბურთის მოგება. მოკლედ, ვილია მართლაც ვაჟკაცი მოთამაშეა და მას უდიდეს პატივს ვცემ."*

დავიდ ვილიას ტრავმა საკმარისი გახდა იმისთვის, რომ პრესაში აჟიოტაჟის ახალი ტალღა აგორებულიყო. კერძოდ, კიდევ ერთხელ დაიწერა, რომ „ვალენსიის" ექიმები ფეხბურთელებს არასწორად მკურნალობენ. კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ფიზმომზადების სპეციალისტებიც. ჟურნალისტების მიერ ხელახლა წამონეული თემა გუნდის თამაშით უკმაყოფილო ფანებმა დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს და „მესტალიასთან" საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ინჩასები სამედიცინო შტაბის გადახალისებასა და კვალიფიციური ექიმების მოწვევას ითხოვენ. მიმდინარე მოვლენებს **ხუან ბაუტისტა სოლერი** გამოეხმაურა. პრეზიდენტმა გუნდის ექიმები დაიცვა და კატეგორიულად განაცხადა, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმითვის, რომ მედიკოსებს უნდობლობა გამოუცხადოს. სენიორ სოლერს მათ კვალიფიკაციაში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება.



ჟოზე მოურინიო

მილანი. მოსალოდნელი დანიშვნა

მოურინიომ ანჩელოტის მოტივაცია შემატა

მწვრთნელი საგაზეთო სტატიებს მუშვიდად ეცნობა, რონალდოს დაბრუნება კვლავ გადაიდო...



კარლო ანჩელოტი

სპეკულაციები **ჟოზე მოურინიოს** „მილანში" შესაძლო დანიშვნის თაობაზე **კარლო ანჩელოტის** მოტივაციას მატებს. მოურინიომ ინგლისის ნაკრების განწვრთნა არ ისურვა. მან სარფიან კონტრაქტზე თქვა უარი. მიმომხილველთა ვარაუდით, სეზონის ბოლოს პორტუგალიელს „მილანში" ვიხილავთ. „იტალიურ გაზეთებში მოურინიოზე რამდენიმე სტატია წავიკითხე, - გაუცხადა ანჩელოტიმ ჟურნალისტებს. - ამბობენ, რომ მას ჩემს პოსტს სთავაზობენ. ვერაფერს გეტყვით. შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. თუ მოურინიოს „მილანში" მუშაობა სურს, მე უფრო მეტი მოტივაციით ვიმუშავებ. არა მგონია, სპეკულაციებმა უფრო მეტი ნნეხის ქვეშ მომაქციოს." ანჩელოტი ჟურნალისტებს იოკოჰამაში შეხვდა. დღეს „როსონერი" საკლუბო მუნდიალზე თავის პირველ მატჩს ჩაატარებს. მისი მეტოქე „ურავა რედ დაიმონდსი" იქნება. მილანელებმა ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის საგზური ვადაზე ადრე გაინაღდეს, მაგრამ სერია A-ში საქმეები ცუდად მისდით. ისინი მეათე ადგილზე იმყოფებიან და ლიდერ „ინტერისაგან" 19 ქულა აშორებთ. ანჩელოტი შეშფოთების საფუძველს მაინც ვერ ხედავს: *„მე მთლიანად ჩემს სამუშაოზე ვარ კონცენტრირებული. ხვალაც ისეთივე მონდომებით ვაპირებ მუშაობას, როგორც აქამდე." „კარლეტოს მხარდაჭერა გამოუცხადა ალესანდრო ნესტამ: „დიდი ხანია, ერთად ვმუშაობთ. მწვრთნელს უსიტყვოდ ვენდობით. მასთან ერთად უთვალავი ჯილდო მოვიპოვეთ. „მილანმა" ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. იაპონიაშიც ამიტომ ჩამოვედით. იმედია, ის დარჩება."* მოურინიოსთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ იტალიურმა გაზეთებმა მას თავდაპირველად ინტერში დანიშვნა უწინასწარმეტყველეს. „გაძეტა დელო სპორტში" დაიწერა, რომ **მასიმო მორატის** ემისრებმა მოურინიოსთან მოლაპარაკებები გამართეს. მორატიმ ეს ცნობა ოფიციალური განცხადებით უარყო. რობერტო მანჩინის არაფერი ემუქრება.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია მილანელთა ბანაკიდან. საკლუბო მუნდიალზე **რონალდოს** თამაში გამოირიცხა. ეს ამბავი ჟურნალისტებს **ადრიანო გალიანმ** ამცნო: *„რონალდომ გვითხრა, რომ ფეხი ისევ აწუხებს. ის მინდორზე ვერ გავა, მაგრამ იაპონიაში დარჩება და გუნდს უქომაგებს. მისი ტრავმის შესახებ დეტალურად ვერაფერს გეტყვით. მე ექიმი არა ვარ."* ტურნირის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს მილანელთა პრობლემა და კლუბს ნება დართეს, განაცხადში კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიყვანონ. ანჩელოტიმ თავდასხმის გაძლიერება ზედმეტად მიიჩნია და არჩევანი ვეტერან მცველ **ჯუზეპე ფავალიზე** გააკეთა. რონალდომ ვარჯიში სამშაბათს განაახლა. მან მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა - ორი კვირის წინ „კალიარისთან". შემდეგ ვარჯიშისას მორიგი ტრავმა მიიღო და იაპონიაში ფეხმტკივანი გაემგზავრა. საკლუბო მუნდიალის ერთი ფინალისტის ვინაობა ცნობილია. გუშინ სამხრეთი ამერიკის საუკეთესო კლუბმა „ბოკა ხუნიორსმა" აფრიკის ჩემპიონ, ტუნისურ „ეტუალ საჰელს" სძლია, 1:0.

ზენიტი. ტრანსფერები

არშავინი ინგლისში?

რუსეთის ჩემპიონებს სიჩოვის შეძენა მოუნდათ...



ანდრეი არშავინი

„ზენიტის" ნახევარმცველ **ანდრეი არშავინს** რამდენიმე სარფიანი წინადადება აქვს. მას ინგლისში ეპატიჟებიან. რუსეთის ნაკრების 26 წლის კაპიტანზე „ნიუკასლი", „ტოტენჰემი", „ბლექბერნი" და „ვესტ ჰემი" აცხადებენ პრეტენზიას. ფეხბურთელი 11 მილიონი ევრო ღირს. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პეტერბურგელები არშავინს ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ, რისი წყალობითაც ის რუსეთის უმდიდრესი მოთამაშე გახდება. უცხოეთში მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. აქვე შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემს" „ზენიტის" ყოფილი ფეხბურთელის, **ალექსანდრ კერჟაკოვის** შეძენაც სურს. ეს უკანასკნელი „სევილიაში" თამაშობს. სევილიელთა ყოფილი დამრიგებელი ხუანდე რამოსი კი ამჟამად „ტოტენჰემში" მოღვაწეობს.

დავუბრუნდეთ „ზენიტს". რუსეთის ჩემპიონებმა მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელ **დმიტრი სიჩოვს** დაადგეს თვალი. პეტერბურგელებს თავდასხმის გაძლიერება სურთ, მაგრამ სიჩოვის ტრანსფერი საკმაოდ ძვირი ჯდება. „ლოკომოტივი" მის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს. „ზენიტის" დირექტორები ფიქრობენ. ფეხბურთელის ტრანსფერზე მოსკოვის „სპარტაკიც" ფიქრობდა. მოგეხსენებათ, სიჩოვი სპარტაკელთა ყოფილი ფეხბურთელია. თავის დროზე სახალხო კლუბიდან მის აბარგებას გრანდიოზული სკანდალი და ფორვარდის ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოჰყვა. სიჩოვის დაბრუნება „სპარტაკის" პრეზიდენტ ლეონიდ ფედუნს სურდა. გენერალურმა მენეჯერმა **სერგეი შავლომ** დაარწმუნა ბოსი, რომ კი შეტევის ხაზი საკმაოდ ძლიერია და რომ უმჯობესია, თანხა სხვა რგოლებს დაახარჯონ.

ხოსე ანტონიო რეიესი

ფინანსური უთანხმოება

რეიესი რეალს ედავება

„რეალმა" ჩილელ თავდამსხმელ **ანდრეს ვილიანუევას** დაადგა თვალი. ამ ბიჭმა სხვა ევროპული გრანდების ყურადღებაც მიიპყრო. ვილიანუევათი დაინტერესება გამოთქვეს „ინტერმა", „ატლეტიკომ" და „სევილიამ". ფეხბურთელს „პალმეირასიც" შეეხმიანა. ანდრესი 21 წლისაა. ის „აუდას იტალიანოს" ღირსებას იცავს. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ვილიანუევას რეგულარულად იძახებენ ეროვნულ გუნდში. მადრიდელებს ამ ბიჭის პერსპექტივაში ეჭვი არ ეპარებათ. მაგრამ ტრანსფერი შეიძლება შეფერხდეს. „რეალს" ტრანსფერების აკრძალვა ემუქრება. საქმეში უკეთ გარკვევისათვის რადიოსადგური „მარკა" მოვიშველიოთ. მის რეპორტაჟში საუბარი იყო ფინანსურ დავალიანებაზე. „რეალს" მისი ყოფილი თავდამსხმელი **ხოსე ანტონიო რეიესი** ედავება. რეიესმა კლუბთან ვერაფერ გააწყო. ამიტომ პროფესიონალ ფეხბურთელთა პროფკავშირებს მიმართა. პროფკავშირებმა მას ფეხბურთის ფედერაციასთან უშუამდგომლა. ესპანური ფეხბურთის ხელმძღვანელები საქმის გამოძიებას შეუდგნენ. თუ „რეალის" დანაშაული დამტკიცდება, მას იმ დრომდე არ დართავენ ტრანსფერების რეგისტრაციის უფლებას, სანამ რეიესის ვალს ბოლო ცენტამდე არ გადაიხდის. მადრიდულ გრანდს ამ ცნობასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

ლივერპული

ჯერარდი გაძარცვეს

ერთიანი ეროვნული

იმ დროს, როცა **სტივ ჯერარდი** მარსელში ჩემპიონთა ლიგის მატჩს ატარებდა, მის ლივერპულურ ბინაში დაუპატიჟებელი სტუმრები მივიდნენ. სამშაბათს, საღამოს ათის ნახევარზე პოლიციაში ზარი გაისმა. ახალგაზრდა ქალბატონმა სამართალდამცველებს ძარცვის შესახებ შეატყობინა. პოლიცია მაშინვე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა. დაზარალებული ჯერარდის მეუღლე **ალექს კურანი** იყო. მის სახლში ოთხი მამაკაცი შეიპარა. მათ სახეზე ნიღბები ეკეთათ. კურანის გარდა, შინ კიდევ ერით ქალბატონი იმყოფებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ უცნობები საკმაოდ ჯენტლმენურად მოიქცნენ. მათ მასპინძლებისათვის ზედმეტი არაფერი უკადრებიათ. მხოლოდ ძვირფასეულობა წაართვეს და სწრაფადვე დატოვეს იქაურობა. არავითარი ფიზიკური დაზიანება: დაზარალებულებს მსუბუქი შოკი აღენიშნებოდათ. ჯერარდი „ლივერპულის" მეშვიდე ფეხბურთელია, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიძარცვა. უფრო ადრე ასეთივე ისტორიები გადახდათ თავს **ხოსე რეინას, იერჟი დუდეკს, დირკ კუიტს, დანიელ აგერს, პიტერ კრაუჩსა** და **ფლორან სინამა-პონგოლეს**. მძარცველებმა თანაქალაქელი „ევერტონის" ნახევარმცველი **ენდი ვან დერ მეიდეც** მოინახულეს.

სანიოლმა მანჩესტერს მილანი არჩია?

„ბაიერნის" მარჯვენა მცველი **ვილი სანიოლი** იტალიაში გამგზავრებას აპირებს. ეს ინფორმაცია „კონტროკამპომ" გაავრცელა. 30 წლის ფრანგ ვარსკვლავს ბაიერნთან კონტრაქტი ივნისში ეწურება. მან მიუნხენიდან აბარგების სურვილი გამოთქვა. სანილის ტრანსფერი უკვე იანვარში იგეგმება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვილი სამსახურს მომდევნო თვეში შეიცვლის. მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას. სანიოლით მანჩესტერ იუნაიტედიცაა დაინტერესებული. ინგლისური სააგენტოები თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფეხბურთელი „ოლდ ტრეფორდს" მიაშურებდა. „მანჩესტერს" ძლიერი მარჯვენა მცველი სჭირდება. **გარი ნევილის** ტრავმის გამო ამ პოზიციაზე **ვესლი ბრაუნი** ასპარეზობს. მოგეხსენებათ, ბრაუნი ცენტრალური მცველია. მისი პოზიციის შეცვლა იძულებითი ნაბიჯია. სანიოლი „იუნაიტედის" ვარიანტს ინტერესით უყურებდა, სანამ მას მილანიდან არ შეეხმიანნენ. მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა. ვილი „მარსელიც" სიამოვნებით გაუფორმებდა კონტრაქტს, მაგრამ გრანდებთან ჭიდილში მას იოტისოდენა შანსიც კი არ აქვს.

რატომ იყიდა იუვენტუსმა ტიაგო?

„იუვენტუსს" ნახევარდაცვის გაძლიერება სურს. მიზეზი ისაა, რომ ზაფხულში შეძენილმა **ალმირონმა** და **ტიაგო მენდესმა** იმედები ვერ გაამართლეს. ისინი ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდებიან, რის გამოც იანვრის ტრანსფერებისას აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. ტურინელთა თავკაცი **კლაუდიო რანიერი** გამოტყდა, რომ ტიაგოს ტრანსფერი თავდაპირველად ჩაფიქრებული არ იყო. იუვენტუსი ლივერპულელ **მოჰამედ სისოკო** ეპატიჟებოდა. მერსისაიდელებთან მოლაპარაკებებიც კი გამართა, მაგრამ ინგლისურმა მხარემ გარიგების სანაცვლოდ არარეალურად მაღალი კომპენსაცია მოითხოვა - 32 მილიონი ევრო. რანიერი არაფერს ამბობს იმის შესახებ, დაბრუნდება თუ არა სისოკოს საკითხი დღის წესრიგში. „ლივერპული" მალელი ლეგიონერის გაშვებას აპირებს და თუ სოლიდურ თანხას გადაუხდიან (რაც არავითარ შემთხვევაში არ იქნება 32 მილიონი), გარიგებას სიამოვნებით მოაწერს ხელს.

ვიერის ნაკრებში დაბრუნება მოუნდა

კრისტიან ვიერის იტალიის ნაკრებში დაბრუნება სურს. გაისად ევროპის ჩემპიონატია. 34 წლის თავდამსხმელს, რომელმაც მუხლის ტრავმა მოიშუშა, ავსტრიასა და შვეიცარიაში გამგზავრება სურს. ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე საუბარი, რა შანსები აქვს ვიერის. მიმომხილველთა ვარაუდით, შანსი არსებობს, მაგრამ საკმაოდ მიზერული. კითხვაზე, ელის თუ არა ზარს რობერტო დონადონისაგან, ვიერიმ უპასუხა: *„მე ველი ნაკრებში გამოძახებას."* თითქმის ერთწლიანი იძულებითი შვებულების შემდეგ კრისტიანი მინდორს ამ სეზონის დასაწყისში დაუბრუნდა. მან „ფიორენტინის" მაისურა მოირგო. ფლორენციელთა თავკაცი **ჩეზარე პრანდელი** ბობოს უმეტესად სკამზე ამყოფებს და შეცვლაზე ათამაშებს ხოლმე. დღეისათვის ვიერიმ შეცვლაზე შვიდჯერ ითამაშა და ორი გოლი შეაგდო. მას ფიორენტინასთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ფეხბურთელს წლიურად 2.7 მილიონ ევროს უხდიან. პრანდელის მიაჩნია, რომ ვიერი „სკუადრა აძურის" ძალიან გამოადგება. მწვრთნელს ის იდეალურ კანდიდატად მიაჩნია **ლუკა ტონის** დუბლიორის რანგში. კრისტიანმა ეროვნულ ნაკრებში 49 თამაში ჩაატარა და 23 გოლი შეაგდო.

ოუენი ათ დღეში დაბრუნდება

მაიკლ ოუენი მინდორზე დაბრუნებას 22 დეკემბერს აპირებს. ამ დღეს ჯორდები „დერბი ქაუნთის" შეხვდებიან. „ნიუკასლის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ფეხბურთელს განაცხადში შეიყვანს. ის, თუ რამდენ წუთს გაატარებს ოუენი მინდორზე, მოგვიანებით გადაწყდება. შეგახსენებთ, ფეხბურთელს 16 ნოემბრსი შემდეგ არ უთამაშია. ის ავსტრია-ინგლისის ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა. ოთხი დღის შემდეგ ხორვატიასთან პრინციპული დაპირისპირება გამოტოვა. მის არყოფნაში, ინგლისელები ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ.

კრესპოს ესტუდიანტესში უხმეს

ერნან კრესპო არგენტინაში დაბრუნებას აპირებს. 32 წლის თავდამსხმელს საინტერესო შეთავაზება აქვს. მასთან კონტრაქტის გაფორმება ესტუდიანტესმა მოისურვა. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელია ერნანის ძველი მეგობარი **დიეგო სიმეონე**. მას ევროპიდან რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის გადაბირება სურს. მათ შორის, სარაგოსელი **პაბლო აიმარისა** და ბორდოელი **ფერნანდო კავენაგის**. კრესპო „ინტერის" საკუთრებაა. მისი კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში იწურება. ფეხბურთელის ფასი უცნობია.

რიჩარდსის ახალი კონტრაქტი

მიკა რიჩარდსი მზადაა, „მანჩესტერ სიტისთან" ახალი კონტრაქტი გაფორმოს. „დეილი ექსპრესის" ცნობით, ფეხბურთელს ოთხწლიან ხელშეკრულებას შესთავაზებენ. მისი წლიური ანაზღაურება 2.5 მილიონი გირვანქით განისაზღვრება. რიჩარდსი ხელშეკრულებას ახალ წლამდე მოაწერს ხელს. ასეთია მიმომხილველების ვარაუდი. მაგრამ ეს არ მოხდება 20 დეკემბრამდე. 20 დეკემბერს რიჩარდს ხელშეკრულება ეწურება ცნობილი საფეხბურთო აგენტ **ჯერომ ანდერსონთან**. თუ კონტრაქტის ანდერსონის მონაწილეობის გარეშე გაფორმდება, რიჩარდსი სულ ცოტა 1 მილიონი გირვანქას დაზოგავს. სწორედ ამდენს მიიღებდა აგენტი ასეთი სარფიანი გარიგებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

ლივერპული გადარჩა

შალკე მერვედფინალში პირველად გავიდა, ვერდერი კი უეფას თასით უნდა დაკმაყოფილდეს...

ჩელსი-ვალენსია. უგოლო ფრე სანტიაგო კანისარესის დამსახურებაა

A ჯგუფი

მარსელი-ლივერპული 0:4

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სადებიუტო მატჩებში განიავებული ქულების გამო „ლივერპული“ ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „წითელმა ეშმაკებმა“ საქმე იმდენად გიართულეს, რომ ფლეი ოფში გასასვლელად „ველოდრომზე“ გამარჯვება დასჭირდათ. **რაფა ბენიტესი** საფრანგეთის სამხრეთში ძალიან ოპტიმისტური განწყობით ჩავიდა, თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ მატჩის შედეგის პროგნოზირება შეუძლებელი იყო. ასეა თუ ისე, ჯერ კიდევ ორი თვის წინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანელებმა წლევანდელი სეზონი ჩააგდეს. მომდევნო ეტაპზე მათ გასვლას ძალიან ცოტა თუ ელოდა. იმის გათვალისწინებით, რომ „პორტუმ“ საკუთარ მოედანზე „ბეშიქთაშს“ მოუგო, „მარსელს“ ფლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ეყოფოდა. ბუნებრივია, მასპინძლებიც და სტუმრებიც ფიქრობდნენ, რომ პორტუგალიელებს თურქების დამარცხების უნარი შესწევდათ. ეს გარემოება ბენიტესის ბიჭებისთვის დამატებითი წნეხის წინაპირობა უნდა გამხდარიყო, თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად, „ლივერპულმა“ გადამწყვეტი მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა. ალბათ, სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ ინგლისელებს იღბალმაც შეუწყო ხელი. „მარსელის“ ყველა იმედი მე-11 წუთზე დასამარდა. იმ დროისთვის სტუმრები **სტივენ ჯერარდისა** და **ფერნანდო ტორესის** გოლებით უკვე 2:0-ს იგებდნენ. დაგვეთანხმებით, დებიუტში ზედიზედ ორი ბურთის გაშვება უდიდესი დარტყმაა. ფრანგები ამ უმტკივნეულესი დარტმის შემდეგ გონს ვეღარ მოეგნენ და შეხვედრა პირწმინდად დათმეს. შედეგად, ისინი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშნენ და ასპარეზობას უეფას თასზე გააგრძელებენ.

ფრანგი გულშემატკივრები „ლივერპულს“ ძალიან ცუდად შეხვდნენ. ბურთთან სტუმართა ნებისმიერ შეხებას გამაყრუებელი სტვენა მოსდევდა. მიუხედავად ამისა, „წითელი ეშმაკები“ საკუთარ საქმეს სრულიად აუღელვებლად აკეთებდნენ. მეოთხე წუთზე ჯერარდმა სწრაფი დრიბლინგით მეტოქის საჯარიმოში შეაღწია. **გაელ ჟივემ** მისი შეჩერება მხოლოდ წესების დარღვევით შეძლო. მსაჯს 11-მეტრიანის დასანიშნად ბევრი არ უფიქრია. **სტივ მანდანდამ** სტუმართა კაპიტნის დარტყმული ბურთი მოიგერია, თუმცა დამატებაზე ჯერარდმა ყველას დაასწრო. აქ კი „მარსელის“ მეკარე სრულიად უძლური აღმოჩნდა. ბენიტესის ბიჭები მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ. მათ შეტევები განაგრძეს და უმცირეს დროში შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს. მე-11 წუთზე ტორესმა მცველების ზედიზედ სამი ვარდნის მიუხედავად ბურთი შეინარჩუნა და ოსტატური დარტყმით შორეული კუთხე დალაშქრა. მატჩამდე ერთი დღით ადრე ფრანგების მწვრთნელი **ერიკ გერეტსი** აცხადებდა, რომ მისი ბიჭები ლომებივით იბრძოლებდნენ, თუმცა მისი ლომები ძალიან მალე მოათვინიერეს და ბელგიელი სპეციალისტი იძულებული გახდა, **ბრუნო შეირუს** ნაცვლად ჯერაც ბოლომდე გამოუჯანმრთელებელი **სამირ ნასრი** უკვე 34-ე წუთზე გამოეყვანა.

სასტიკი შოკის შემდეგ „მარსელი“ ოდნავ დალაგდა. მასპინძლებმა დიდი ძალებით შეუტიეს, თუმცა საგოლე მომენტებს ისევ „ლივერპული“ ქმნიდა. ჯერარდს ცოტა დააკლდა, რომ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაეზარდა. კარგი მოემენტი ვერ გამოიყენა **ჰარი კიუელმა**. ხელი მოეცარა ტორესსაც. ფრანგების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, როცა ტაიმის მიწურულს ჟივემ ტრავმა მიიღო და **ჟაკ ფატის** დაუთმო ადგილი. ფეხბურთს მრავალი სასწაული ახსოვს, თუმცა ამ თამაშის შემხედვარე კაცს ამის იმედი ნამდვილად არ ექნებოდა. პირველივე ტაიმმა ცხადყო, რომ „მარსელი“ ჯგუფურ ეტაპს ვერ დაძლევდა.

გერეტსმა შესვენებაზე ერთი ექსლივერპულელი მეორეთი შეცვალა. მან **ზენდენის** ნაცვლად **ჯიბრილ სისე** შეუშვა მოედანზე. ამ სვლამაც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. „ლივერპული“ კვლავ ძალიან სახიფათოდ უტევდა. ერთ-ერთ ეპიზოდში მანდანდამ ბურთი უხეიროდ მოიგერია. კიუელმა ამით შესანიშნავად ისარგებლა და **დირკ კიუიტს** საგოლე პასი მიაწოდა. ამ ანგარიშმა ალბათ, მასპინძელთა ყველაზე ოპტიმისტ გულშემატკივრებსაც კი ჩაუკლა იმედი. მით უმეტეს, საფინალო სასტვენამდე მათ კიდევ ერთი გოლი მიიღეს, რომელიც **ბაბელის** ანგარიშზე ჩაიწერა.

ბუნებრივია, რაფა ბენიტესი გამარჯვებითა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებით აღფრთოვანებული დარჩა: *„ვფიქრობ, დღეს საამაყო შეხვედრა ჩავატარეთ. ძალიან კარგად ვითამაშეთ. მთელი გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული. უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. პარალელურად მოწინააღმდეგეს ერთი ბურთის გატანის საშუალებაც კი არ მივეცით. ფაქტობრივად, იდეალური მატჩი გავმართეთ. ალბათ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ თითქმის იდეალური. რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს აღფრთოვანება და სიხარული, ვერავინ იტყვის, რომ „ლივერპულს“ საკუთარ თავზე მუშაობა აღარ სჭირდება. ჯერარდისა და ტორესის სიძლიერის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ გამიჭირდება იმის თქმა, რომ დღეს ისინი საუკეთესონი იყვნენ მოედანზე. სტივენმა და ფერნანდომ ფანტასტიკურად ისპარეზეს, მაგრამ მათ სხვა არც ერთი ლივერპულელი ჩამორჩებოდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი მეტისმეტად მეამაყება. ვფიქრობ, გადამწყვეტი თამაშისთვის სწორად განვეწყვეთ და ეფექტური ტაქტიკა გამოვიყენეთ. მადლობა ღმერთს, სირთულეები დაძლეულია. ყველა გულშემატკივარს ვულოცავ, „ლივერპული“ კვლავ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძვის. არადა, დიდი შანსი იყო, ჯგუფში ჩავრჩენილიყავით. შრომითა და თავდადებით აბსოლუტურად ყველაფერი მიიღწევა.“*

ცხადია ერიკ გერეტსს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა დაეუფლა: *„სასოწარკვეთილი ვარ. ბევრი რამ არ მესმის. გავოგნდი ჩემი შეგირდების საშინელი თამაშით. არადა, ისინი გენიალური მოთამაშეები არიან. ზრდასრულ ადამიანებს როგორ უნდა ვასწავლო, რომ მეტი პასუხისმგებლობა მართებთ?! აღარაფერი მაქვს სალაპარაკო, „ლივერპულმა“ გაგვანადგურა.“*

პორტუ-ბეშიქთაში 2:0

ლუჩო გონსალესისა და **რიკარდუ კვარეშმას** გოლების წყალობით „პორტუმ“ შეუპოვარ „ბეშიქთაშს“ მოუგო და ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გააღწია. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელებმა A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

დით იმისთვის, რომ პირველი ადგილი მშვიდად მოგვეპოვებინა. დასახულ მიზანს უპრობლემოდ მივაღწიეთ და ამით უზომოდ ბედნიერი გახლავართ.“

B ჯგუფი

ჩელსი-ვალენსია 0:0

„ჩელსისა“ და „ვალენსიის“ დაპირისპირება, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ისე საინტერესო გამოდგა და უგოლო ფრით დასრულდა. ლონდონელებს მერვედფინალში თამაში მატჩის წინვე განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ მაინც დაჯაბნეს მეტოქე და ის, რომ „ჩელსიმ“ გოლის გატანა ვერ მოახერხა, ერთის მხრივ „ღამურების“ მეკარე **სანტიაგო კანისარესის**, მეორესმხრივ კი, „ვალენსიის“ კარის ძელის „დამსახურებაა“. ესპანელებმა მთელი მატჩის განმავლობაში ერთობ უსახურად და შიშით ითამაშეს – ისე, რომ ვერავინ იტყვის, რომ გოლის გატანა ძალიან სურდათ.

„სანდერლენდთან“ მოგებული შეხვედრის (2:0) შემდეგ, ლონდონელთა თავკაცმა **ავრაამ გრანტმა** თავისი სამწყსოს ძირითადი შემადგენლობა 5 პოზიციაზე შეცვალა: **კუდიჩინის, ბელეტის, ალექსის, ჯო კოულისა** და **ობი მიკელის** ნაცვლად, სასტარტოში **ჩეხი, ბენ ჰაიმი, ბრიჯი, ესიენი** და **პისარო** ვიხილეთ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელისთვის, რომელიც ცოტა ხნის წინათ უდისციპლინობის გამო პერუს ნაკრებიდან დაითხოვეს, ჩემპიონთა ლიგაში ეს „ჩელსის“ სასტარტო შემადგენლობაში დაწყებული პირველი თამაში გახლდათ. ვალენსიელთა დამრიგებელმა **რონალდ კუმანმა** კი, „ოსასუნასთან“ 0:0-ის შემდეგ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეცვალა: **არისმენდის** ნაცვლად ძირითადში **მორიენტესი** გაამწესა. ეს თითქოს ნიშანი იყო იმისა, რომ „ვალენსია“ მოსაგებად ყველაფერს გააკეთებდა, მაგრამ...

მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსის“ პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა, მასპინძლებმა თავიდანვე შემტევი ტაქტიკა აირჩიეს და თითქოს გარანტირებული არაფერი ჰქონდათ, საქმეს პირველი წუთიდანვე ძალიან სერიოზულად მიუდგნენ. უკვე მე-4 წუთზე **შევჩენკოს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი დარტყმული, ისევე, როგორც მე-11 წუთზე **რაიტ-ფილიპსისა**, კანისარესმა ჩინებულ ნახტომში მოიგერია. „ვალენსიამ“ ლონდონელთა კარისკენ

მარსელი-ლივერპული. მარსელის დარბევას სათავე სტივენ ჯერარდმა დაუდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

შალკე-რუსენბორგი. შალკე ევროპის 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა

პირველად 26-ე წუთზე (!) დაარტყა, როცა ჩეხმა უპრობლემოდ აუღო **ვილიას**. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა – ლონდონელები უტვენდნენ, „ვალენსია" კი ვერაფერს ახერხებდა და ახლა უკვე აღარაა გასაკვირი, თუ რატომ ვერ გაიტანეს „ღამურებმა" ბოლო 4 შეხვედრაში ვერცერთი გოლი.

მეორე ტაიმში გრანტმა შევჩენკო **მაკელელეთი** შეცვალა – „ჩელსი" 4-3-3-ზე გადავიდა, სადაც ცენტრფორვარდი პისარო გახლდათ, რომელსაც ფლანგებიდან რაიტ-ფილიპსი და **კალუ** ეხმარებოდნენ. უშუალოდ თამაშში კი თითქმის არაფერი შეცვლილა. „ჩელსი" კვლავ უფრო აქტიური იყო, „ვალენსია" კი სულ უფრო და უფრო უკან იხევდა. დაახლოებით 65-ე წუთიდან „ჩელსიმ" ტემპს მოუმატა და რამდენიმე მომენტი შექმნა. 66-ე წუთზე პისაროს დარტყმა კანისარესის ნადავლი გახდა, 74-ე წუთზე კი, პერუელმა კალუს უპასა, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა. ორ წუთში რაიტ-ფილიპსისა და პისაროს კომბინაციას ეს უკანასკნელი აგვირგვინებდა, მაგრამ კანისარესმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კი, კანისარესმა **ჯო კოულის** დარტყმის შემდეგ ბურთი მარჯვენა ძელისკენ მოიგერია.

ამრიგად, „ვალენსიამ" ევროსეზონი ჩააგდო, ჯგუფში მეოთხე ადგილზე გავიდა და ახლა შეუძლია, მთელი აქცენტი პრემიერადივიზიონზე გადაიტანოს. კუმანს აქვს დრო, რომ გუნდი საგაოსოდ ფეხზე დააყენოს და ვნახოთ, რამდენად გამოუვა ეს. ლონდონელები კი ნილიწყრას ელოდებიან.

ავრაამ გრანტი: *„მიუხედფავად იმისა, რომ სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არცერთ ჩემს შეგირდს არ მივეცი იმის უფლება, რომ თავი დაეზოგა. ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია."*

რონალდ კუმანი: *„თავდასხმაში პრობლემები გვქონდა, ნახევარდაცვაში ინერტულები ვიყავით. ვფიქრობ, ბოლო თამაშებიდან კარგი დასკვნების გაკეთება შეიძლება, ჩემპიონთა ლიგის ამ სეზონიდან კი, გამოცდილების მიღება. მომავალ სეზონში „ვალენსიამ" შელახული იმიჯი უნდა აღიდგინოს."*

შალკე-რუსენბორგი 3:1

იყო იმის შანსი, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში არცერთ გერმანულ კლუბს არ ეთამაშა. „ბაიერნის" არყოფნაში, სხვებმა გერმანული ფეხბურთის იმიჯი ლამის ლაფში ამოსვარეს, მაგრამ საბოლოოდ გელზენკირხენის „შალკემ" იყოჩაღა და „რუსენბორგის" დამარცხებით, ერთადერთი კლუბი გახდა ბუნდესლიგიდან, რომელიც ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. თანაც, „შალკე" არსებობის მანძილზე პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდმა 12 მილიონი ევროს მოხვეჭაც გაინაღდა.

არადა, თამაშის წინ გელზენკირხენულ კლუბში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. ჯერ იყო და ბუნდესლიგის წინა ტურში **კარლოს გროსმიულერი** საშინლად მოიქცა (ორშაბათის ნომერში ვწერდით), რის გამოც დისკვალიფიკაციაც არ აკმარეს და აბსოლუტურად ყველამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მერე კი, **მლადენ კრსტაიჩი** და **ივან რაკიტიჩი** გამოთვრნენ დისკოთეკაზე, რის გამოც **მირკო სლომკამ** ორივე მათგანი დასაჯა და გუშინ არ ათამაშა. მაგრამ კარგია ყველაფერი, რაც კარგად მთავრდება: საფინალო სასტვენის შემდეგ, გახარებულმა შალკელებმა კრსტაიჩისა და რაკიტიჩის მაისურები აფრიალეს, ნიშნად იმისა, რომ დასჯილ თანაგუნდელებს მხარში უდგანან და რომ გამარჯვება მათ მიუძღვნეს.

კრსტაიჩის ნაცვლად დაცვის ცენტრი **როდრიგესმა** გაამაგრა, რაკიტიჩი კი გროსმიულერმა შეცვალა და თანაც, შესანიშნავად - სწორედ ურუგვაელმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მე-12 წუთზე მან ჯარიმა იდეალურად დაარტყა, ბურთს ფეხი **ჯერალდ ასამოამ** დაუხვედრა და ანგარიში გაიხსნა – 1:0. ზუსტად 7 წუთის შემდეგ, **რაფინიამ კურანისთან** ჩინებული კომბინაცია გაითამაშა, მეკარე **კვარმე** მოატყუა და 10 მეტრიდან ცარიელი კარი დალაშქრა - 2:0. ამრიგად, უკვე მე-19 წუთზე, მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა და შალკელებიც ოდნავ მოეშვნენ, რაც ძვირად დაუჯდათ. 23-ე წუთზე **კონემ ვესტერმანს** საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და **ნოიერს** გაუტანა, რითაც სხვაობა შეამცირა და გელზენკირხენელებს აგრძნობინდა, რომ ჯერ არაფერი არ იყო გადაწყვეტილი. თუმცა „ხუმარებმა" დიდხანს როდი ინერვიულეს – 36-ე წუთზე ისევ გროსმიულერმა იყოჩაღა, რომელმაც კურანი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, ამ უკანასკნელმა კი, 16 მეტრიდან აუღებელი დაარტყა და ანგარიში 3:1 გახადა.

გოლის აღნიშვნის დროს კევინმა მაისური გაიძრო, შიდა მაისურზე კი მისი ახლახან გარდაცვლილი ბავშვობის მწვრთნელის, პანამელი **კაბალის** მოსაგონარი წინადადება ეწერა: *„ყოველთვის მემახსოვრები, პროფესორო კაბალ!"* აღსანიშნავია ის, რომ მატჩის მიწურულს სლომკამ მოედანზე კობიაშვილი შეიყვანა (**მესუთ იოზილის** ნაცვლად). ამრიგად, ორთვენახევრიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ქართველი ნახევარმცველი მინდორს დაუბრუნდა. ერთი სიტყვით, არსებობის მანძილზე პირველად, „შალკე" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ითამაშებს.

მირკო სლომკა: *"ჩვენს ეს შევძელით, რაც ფანტასტიკურია! ეს ჩვენი გუნდის უდიდესი წარმატებაა და მეც ბედნიერი ვარ. „შალკეს" ყოველთვის ძალიან ცოტა აკლდებოდა და აი, როგორც იქნა, ჩვენ ეს შევძელით. დღეს შეგვიძლია, არ ვიფიქროთ იმაზე, რომ შაბათს მომდევნო მატჩი გვაქვს – დღეს შეგვიძლია, მოგებით დავტკბეთ და დავისვენოთ. ხვალიდან კი, შაბათის შეხვედრისთვის მოვემზადებით."*

ტრონდ ჰენრიკსენი: *„ვიცოდი, რომ ძალიან მძიმე მატჩი გველოდა და ჩემი მოლოდინი გამართლდა კიდეც. „შალკე" საკუთარ მოედანზე ნებისმიერი გუნდისთვის უდიდესი ძალაა და გამონაკლისი, არც „რუსენბორგი" აღმოჩნდა. ჩვენ ლამაზი ოცნება გვქონდა, რომელსაც „ვალენსიასთან" მოგებულმა ორმა თამაშმა ფრთები შეასხა, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, მერვედფინალში თამაში ჩვენზე მეტად „შალკემ" დაიმსახურა, ჩვენ კი უეფას თასითაც დავკმაყოფილდებით. ნელს „რუსენბორგმა" უდიდესი გამოცდილება მიიღო."*

C ჯგუფი
ოლიმპიაკოსი-ვერდერი 3:0

უცნაური გუნდია ბრემენის „ვერდერი" – დღეს შეუძლია, მადრიდის „რეალთან" იდეალური ფეხბურთი ითამაშოს და „სამეფო გუნდი" დაამარცხოს, ხვალ „ჰანოვერთან" წააგოს, ზეგ კი „ოლიმპიაკოსთან" განადგურდეს. სად გაქრა ის შემართება, ის მონდომება და ის სწრაფვა გამარჯვებისკენ, **თომას შაფის** გუნდს „რეალთან" 3:2-ზე მოგებულ მატჩში რომ ჰქონდა? მაშინ დავწერეთ: „ნუთუ, მაინცდამაინც „რეალის" წინააღმდეგ უნდა თამაშობდეს გერმანული კლუბი, რათა იდეალური ფეხბურთის აჩვენოს?" როგორც ჩანს, მართლაც ასეა, თუ არა და რას მივაწეროთ „ვერდერის" ეს სამარცხვინო წაგება „ოლიმპიაკოსთან"?

ბერძნული კლუბი კი მერვედფინალში გავიდა და თანაც, ზუსტად იმდენი ქულა დააგროვა, რამდენიც „რეალმა" (11). ალალალია ბერძნებზე, რადგან მხოლოდ მათ მოახერხეს იმდენი, რომ „რეალს" ტოლ-სწორად ეთამაშნენ, სტუმრად „ლაციოს" მოუგეს და სტუმრადვე „ვერდერს". ბრემენელებს ნუგეშად უეფას თასი დარჩათ, სადაც თებერვალში ჩაერთვებიან. ეს გახლდათ „ვერდერის" 50-ე შეხვედრა ჩემპიონთა ლიგაში და საიუბილეო მატჩში „მუსიკოსებმა" სასტიკად ჩაისვარეს. შაფის გუნდს არც **კლემენს ფრიტცისა** და **ტიმ ბოროვსკის** დაბრუნებამ უშველა. **დიეგოს** მუდმივად 2-3 ბერძენი მეურვეობდა და შესაბამისად, ვერც ბრაზილიელმა გამოიჩინა თავი. დაცვაში კი, „ვერდერს" ძალიან ეტყობოდა **მერტეზაკერის** არყოფნა, მით უმეტეს, რომ **ნალდომაც** უამრავი შეცდომა დაუშვა. მოკლედ, რომ არა **ტიმ ვიზე**, ბრემენელები უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდნენ.

ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა: **იურიცა ვრანიეშის** შეცდომით **სტოლტიდისმა** ისარგებლა და ვიზეს 17 მეტრიდან გაუტანა. ბრემენელებმა ვერა და ვერ ააწყვეს თამაში და როგორც ჰანოვერში (3:4), ამ შეხვედრაშიც ძალიან შორს იყვნენ ისეთი ფეხბურთისგან, როგორიც „რეალთან" ითამაშეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ორჯერ დაარტყეს მეტ-ნაკლებად სახიფათოდ – ეს იყო და ეს. ჯერ დიეგოს კუთხურს ნალდომ თავი დაუხვედრა, მაგრამ ბერძნებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს, მერე კი **სანოგოს** თავურ დარტყმას **ნიკოპოლიდისი** გადაეღობა. მატჩის მიწურულს კი, „მუსიკოსებმა" მეორე და მესამე გოლები გაუშვეს: ჯერ **დარკო კოვაჩევიჩმა** ნალდოს აჯობა, თავით დაარტყა და ანგარიში 2:0 გახადა, 4 წუთის შემდეგ კი ისევ **სტოლტიდისმა** იხეირა, რითაც დუბლი მიითვალა.

პანაგიოტის ლემონისი: *„უბედნიერესი კაცი ვარ, რადგან ვიცი, რომ ჩვენი ფანები ახლა ქუჩაში არიან გამოსულები და ზეიმობენ. ჩვენ დღეს დიდი მისია შევასრულეთ. „ოლიმპიაკოსმა" მერვედფიონალში თამაში „ვერდერზე" და "ლაციოზე" მეტად დაიმსახურა და აი, მიზანსაც მივაღწიეთ."*

თომას შაფი: *„ცხადია, იმედგაცრუებულები ვართ. ჩვენი ბედი დღეს ჩვენს ხელში იყო, მაგრამ ჩვენი მონდომება და შემართება საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩემი შეგირდები ძალიან ცდილობდნენ, რომ კარგად ეთამაშათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ – მეტოქეს კარის მისადგომები საიმედოდ ჰქონდა გადაკეტილი. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მეორეში შედარებით უკეთესად, მაგრამ საერთო ჯამში არაფერი გამოვიდა და ჩვენც წავაგეთ. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად, უეფას თასზე უნდა გამოვიზამთროთ."*

რეალი-ლაციო 3:1

მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** „ბილბაოსთან" მოგებული თამაშის შემდეგ (1:0) ძირითადი შემადგენლობა ერთ პოზიციაზე შეცვალა: მარცხენა მცველის მოვალეობებს **ტორესის** ნაცვლად **მარსელო** ასრულდებდა. რომაელთა დამრიგებელმა **დელიო როსიმ** კი, „კატანიასთან" 2:0-ზე მოგებული მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში ორი ფეხბურთელი შეცვალა: **ძაური** და **მაკინვა** სკამზე დატოვა, ხოლო მათ ნაცვლად **სივილია** და **პანდევი** ათამაშა.

პირველი რეალური მომენტი იტალიელებს შეექმნათ: **როკის** გენიალური პასის შემდეგ, **მეგნიმ** ბურთი მცირე მანძილით ააცილა **კასილიასის** კარს. ზუსტად ერთ წუთში **რაულმა** „ლაციოს" სახიფათო მომენტითვე უპასუხა, როცა **სნეიდერის** კუთხურს გამოეხმაურა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ მადრიდელებმა თამაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს, რაც მალე გოლში აისახა: **რობინიოს** ჩინებული პასი მისმა თანამემამულე **ბაპტისტამ** გამოიყენა და 20 მეტრიდან **ბალოტას** შანსი არ დაუტოვა.

გადის კიდევ ორი წუთი და „რეალს" უკვე მეორე გოლი გააქვს: სნეიდერმა კუთხური რობინიოსთან გაითამაშა, ეს უკანასკნელი ოდნავ შეყოვნდა და მერე საჯარიმოში ჩაწოდა, სადაც ბურთს რაული დახვდა და კარში გადაგზავნა. „ლაციო" მდგომარეობის გამოსწორებას ეცადა, მაგრამ რაკი უფრო აქტიურად შეუტია, „რეალმა" კონტრშეტევებზე დაინყო კბენა. მადრიდელები უკვე პუბლიკაზე თამაშობდნენ, რაც ხშირად ძალიან ლამაზად გამოსდიოდათ, ხშირად კი ვერა. მესამე გოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა. 36-ე წუთი: რობინიომ საჯარიმოს მისადგომებთან „იცეკვა" და **ვან ნისტელროის** უპასა, რომელიც კარისკენ შეტრიალდა, მაგრამ შეამჩნია, რომ დასარტყმელი გზა გადაკეტილი იყო, რის გამოც ისევ რობინიოს უპასა, ამ უკანასკნელმა კი ბალოტას ისევ არ დაუტოვა შანსი. ამრიგად, 36-ე წუთზე კი უკვე ცნობილი იყო, რომ „ლაციო" ამ თამაშს წააგებდა.

შესვენებაზე შუსტერმა რობინიო გასახდელში დატოვა და მასთან ერთად დაასვენა სნეიდერიც. შესაბამისად, თამაშის სანახაობრივმა მხარემ ბევრი რამ დაკარგა და არცაა გასაკვირი, მატჩი უინტერესო საყურებელი რომ გახდა. რობენის ორი არაფრისმომცემი დარტყმა და „ლაციოს" კინკილა გოლი (**პანდევი**) და როკის მიერ გაცუდებული პენალტი (**პეპემ** საჯარიმოში ხელით ითამაშა) – ეს იყო და ეს.

ოლიმპიაკოსი-ვერდერი. სად გაქრა ვერდერის შემართება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ





ფოტოები www.sportphoto.ge-დან

ოთარ კანდელაკი

სანდრო კანდელაკი

ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ კანდელაკობა, ანუ ძალა და ძლიერება საქართველოს გოლიათის ფალავან **სანდრო კანდელაკის** (1893-1953) სახელთანაა დაკავშირებული. სანდროს ერთადერთი ტიტული ჰქონდა - ის იყო ჭეშმარიტად სახალხო ფალავანი.

მამისაგან განსხვავებით, გოლიათის ვაჟმა **ოთარმა** ჭიდაობაში ბლომად ტიტულები მოიპოვა. თუმცა მამასავით სახელოვანი ფალავანი ვერ გახდა. მაგრამ თავისი სიტყვა მაინც თქვა საჭიდაო სარბიელზე.

ოთარი თავისუფალი სტილის მოჭიდავეა. პირველი ნაბიჯები კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბერძნულ-რომაულში გადადგა. მისი ერთადერთი მწვრთნელი **ვახტანგ კუხიანიძე** (1914-1985) იყო. სწორედ მას უმადლის ყველა მიღწევას.

ოთარი პატარა ბიჭი იყო, გორში და ოზურგეთში, რომ უცქერა მამის ჭიდაობას. იმ ორთაბრძოლებიდან მხოლოდ ერთი რამ დაამახსოვრდა. მაშინ, რაღა თქმა უნდა, მამამისმა, გოლიათმა სანდრო კანდელაკმა მოპოვა გამარჯვებები.

სამაგიეროდ, შედარებით ხშირად უცქერდა ორმოცდაათიან წლებში შვილის ჭიდაობებს სანდრო კანდელაკი.

თბილისის ცირკში საბჭოთა კავშირის პირველობა იწყებოდა. მილიციის შეფი **ალექსანდრე ძლიერიშვილი** ცირკის ეზოში მხოლოდ ცკ-ის მანქანებს და მათ მგზავრებს უშვებდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ მცხეთიდან ჩამოსული ერთი „პობედა“, რომელშიც იჯდა საქართველოს გოლიათი სანდრო კანდელაკი...

ოთარს ბავშვობის დროიდან დაამახსოვრდა XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველ კინომსახიობებთან გადაღებებზე გატარებული დრო. მამამისი სანდრო კანდელაკი, ხომ მრავალ ქართულ მხატვრულ ფილმშია გადაღებული. ოთარს განსაკუთრებით **ნატო ვაჩნაძის** განუმეორებელი სახე დაამახსოვრდა...

გოლიათი მამის კვალს ადევნებული მცხეთელი ბიჭი ოთარ კანდელაკი ერთმა გენერალმა გვარად მიჩურინმა თბილისში ცკ-ის დაცვის სამსახურში გაამწესა. სწორედ ის მიჩურინი აძლევდა გოლიათის ვაჟს ორმაგი კვების ბარათს და სავარჯიშოდაც უშვებდა შეუზღუდავად.

ჭიდაობიდან თავისუფალ დროს ოთარი მცხეთაში, მტკვარზე, ნიჩბებს უსვამდა. საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონიც იყო. ე.წ. „სახალხო ნავებით“ რბოლაში.

ოთარ კანდელაკი მსოფლიო თასის ვერცხლის მედლის მფლობელია (1958), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1960), სსრკ სამგზის ვიცე-ჩემპიონი (1954-1957-1958), და ბრინჯაოს პრიზიორი (1952). უნგრეთისა და პოლონეთის საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალების გამარჯვებული (1954-1955), „დინამოს“ მრავალგზის ჩემპიონი მძიმე წონით კატეგორიაში. ოთარი ვალში არ დარჩენილა ორ რუს გიგანტთან - ოლიმპიურ და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებთან ორ **ალექსანდრესთან - ივანიცკისთან** და **მედვედთან**. ოთარს მათთან არცერთი შეხვედრა არ წაუგია, ფრეს მიაღწია. ერთხელ ივანიცკის მოუგო კიდეც.

1954 წელს, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს მეორე ჩემპიონატზე, იაპონიაში, სსრკ ნაკრებში ოთარ კანდელაკიც იყო. მაგრამ ტოკიოში ის საკონტროლო შეხვედრაშიც კი არ გამოსცადეს, რადგან ოთარსაც, რომ ეასპარეზა, ეს უკვე საქართველოს ნაკრები იქნებოდა და არა სსრკ (!)...

ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოთარს ყველაზე მეტად **ვახტანგ ბალავაძის** ბრნყინვალე ჭიდაობა დაამახსოვრდა. „პროფესორის“ ქართულ ფანდებს ვერაფრით აუღეს ალღო ვახტანგის მეტოქეებმა. დასამახსოვრებელი იყო აგრეთვე ჩვენგან განსხვავებული საპირისპირო სატრანსპორტო მოძრაობები ტოკიოს ქუჩებში...

1958 წლის მსოფლიო თასისთვის (ამ ასპარეზობას ზოგიერთი სტატისტიკოსი მსოფლიოს ჩემპიონატსაც უწოდებს), რომელიც ნიუ-იორკში უნდა ჩატარებულიყო, საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეები სერიოზულად ემზადებოდნენ. მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის“ საჭიდაო დარბაზში ერთი ვეებერთელა ტანის კაცი შევიდა და მძიმეწონასანთან ჭიდაობა მოითხოვა. გიგანტი ცირკის მოჭიდავე აღმოჩნდა. სსრკ გუნდის ხელმძღვანელმა **ვლადიმერ კრუტკოვსკიმ** ოთარს უთხრა: - მიდი, ეჭიდავე მაგ ვეშაპს ოღოდ, თუ ერთი ქულა მაინც აგართვა, იცოდე დაემშვდიობები მსოფლიო თასზე ამერიკაში წასვლას!

კანდელაკმა დავალება ფრიადზე შეასრულა.

ამერიკაში ოთარს ჭიდაობის გარდა, სადაც, მან მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, სხვა საინტერესო ამბებიც გადახდა. ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში კანდელაკი შეხვდა ლეგენდარულ ქუთაისელ ფალავანს, მამამისის მეგობარს კოლია ქვარიანს (1903-1980). ოთარისა და ქვარიანის ამერიკულ შეხვედრაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მართლაც, სახიფათო საქმე იყო იმ დროს ემიგრანტებთან რაიმე ურთიერთობა. ამიტომ, საბჭოთა დელეგაციის ზოგიერთი წევრი, თანამემამულეთა შეხვედრისას, აქეთ-იქით გაიქცა და დაიმალა კიდეც. კოლიამ ოთარს 200 დოლარი აჩუქა. ოთარმა საკუთარი სპორტული ტანსაცმელი უსახსოვრა ძველ ფალავანს.

კანდელაკმა ნაჩუქარი 200 დოლარიც ვერ დახარჯა ამერიკაში, რადგან სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, ამერიკაში საჩუქრები არ აეღოთ. ოთარმა ძველი ტყავის ჩანთა, როგოცრ აქედან წაიღო, ისე წამოიღო შინ...

ერთხანს, გოლიათის შვილი, მცხეთის ავტოსაწარმოო კანტორას ხელმძღვანელობდა, თბილისში კი ცნობილი საჭიდაოს „პეტრეს დარბაზის“ დირექტორიც იყო.

80 წლის ფალავანი ოთარ კანდელაკი, დროგამოშვებით, დროჟამისგან გაყვითლებულ სურათებს ათვალიერებს და თბილისში, საფრანგეთში და ამერიკაში მცხოვრებ შვილებზე, შვილიშვილებზე, შვილთაშვილებზე ფიქრობს, ხარობს მონაგარით...

გაბრიელ ᲑᲐᲠᲯᲐᲫᲔ

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ვეტერანი მოჭიდავეები ᲝᲗᲐᲠ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ დაბადებიდან 80 წლისთავთან და ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ დაბადებიდან 75 წლისთავთან დაავშირებით, დეპარტამენტის საპატიო სიგელით და სამახსოვრო საჩუქრით დააჯილდოვა.

ᲮᲔᲚᲘᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ ᲘᲓᲔᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ



ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მწვრთნელი **ნუგზარ კანდელაკი** კვლავ აზერბაიჯანის გზას ადგას - თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ ის აზერბაიჯანის ჩემპიონ „ნტდ-სერვის დევონს“ ჩაიბარებს. ყოველ შემთხვევაში ამის დიდი იმედი კლუბის პრეზიდენტ **ბაჰრამ აბდინოვს** აქვს. 2005 წელს, როცა კანდელაკი აზერბაიჯანულ საკალათბურთო კლუბ „დასავლეთის უნივერსიტეტს“ (გიარბ უნივერსიტეტი) წვრთნიდა, გუნდის პრეზიდენტი სწორედ ბაჰრამ აბდინოვი იყო. „ჩვენ ერთად მუშაობის ძალიან კარგი გამოცდილება გვქავს. მან ჩვენი გუნდის ორი წლის ბიზნეს-გეგმა მოიკითხა და როცა დარწმუნდა ჩვენი მიზნის სერიოზულობაში აქ ჩამოსვლა გადაწყვიტა, რათა უკეთ გაეცნოს სიტუაციას. კანდელაკი ბაქოში პარასკევს ჩამოვა“, - განაცხადა აბდინოვმა.

მოგეხსენებათ, ნუგზარ კანდელაკი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია. ეს გარემოება აბდინოვს ხელს სულ არ უშლის: *„ფედერაციის საქმეა, გაუგრძელოს თუ არა მას კონტრაქტი, პირადად მე კი პრობლემას ვერ ვხედავ, თუკი კანდელაკი „დევონთან“ ერთად 18-წლამდელთა ნაკრებსაც უხელმძღვანელებს“*. „დევონის“ პრეზიდენტი კლუბის ამხანაგურ მატჩსაც არ გამორიცხავს საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებთან. აბდინოვის თქმით, თუ ნუგზარ კანდელაკი თანახმა იქნება, მასთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ. ამჟამად „დევონი“ უმწვრთნელოდ ვარჯიშობს და ახალი სეზონისთვის ემზადება.

აზერბაიჯანული „ექო“ **ნუგზარ კანდელაკის** კომენტარსაც გვთავაზობს: „აბდინოვის წინადადებას მთელი სერიოზულობით ვეკიდები. ახლა მთავარია დაზუსტდეს ყველა ის მიზანი, რაც გუნდს ექნება უახლოეს მომავალში. მე ჭაბუკთა გუნდს ვწვრთნი, რომელიც საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ასპარეზობს. შესაძლოა, დეკემბერში ეს გუნდი ესტუმროს ბაქოს და „დევონთან“ მატჩი გამართოს. სწორედ ამ მატჩში ნათლად დავინახავ აზერბაიჯანული კალათბურთის დღევანდელ დონეს. ადრე ჩვენი გუნდი და „გალა“ სერიოზულ ბრძოლებს მართავდნენ. ჩემი აზრით, მას მერე ჩემპიონატის დონე დაეცა“.

აზერბაიჯანის საკალათბურთო ჩემპიონატი 15 დეკემბერს იწყება, ბაქოს „ოლიმპიურ“ კომპლექსში ითამაშებენ ჩემპიონი „ნტდ-სერვის დევონი“, „გალა“, „აზტოპი“, „გიარბ უნივერსიტეტი“ და აზერბაიჯანის 18-წლამდელთა ნაკრები.

სხვათა შორის, აზერბაიჯანში კანდელაკი თამამი იდეით გამოდის, საქმე ეხება „კასპიის თასის“ დაარსებას, სადაც ქართული აზერბაიჯანული, ირანული და ყაზახური გუნდები ითამაშებენ.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა საქართველოს V ახალგაზრდული ჩემპიონატის მეექვსე ტურის, "ენერჯი ინვესტისა" და "თბილისის" შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი და შემდეგი განაჩენი გამოიტანა:

"ენერჯი ინვესტის" მთავარ მწვრთნელს, ბადრი კიკვიძესა და მის ასისტენტს, ირაკლი ჯაფარიძეს, აღნიშნული მატჩის მსაჯის, გურამ მიქელაძის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, დაეკისრათ სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 500 დოლარის (ან მისი ექვივალენტი ლარებში) ოდენობით. გარდა ამისა, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, "ენერჯი ინვესტის" მოთამაშეს თვაურს დაეკისრა დისკვალიფიკაცია ერთი თამაშის გამოტოვებითა და 100 დოლარის (ან მისი ექვივალენტი ლარებში) ოდენობით.

ამასთან ერთად, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკური კომისია მკაცრად გააკონტროლებს დასჯილ მწვრთნელთა დასწრებას თამაშებზე, რათა ისინი დასხდნენ მხოლოდ ტრიბუნაზე, მოედნიდან მოშორებით და არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ თამაშის ნაყვანაში. წინაალმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ სანქციები გამკაცრდება, თამაშზე დასწრების აკრძალვის ჩათვლით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ბოლო დროს, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გაისმის მოჭიდავეთა უსამართლო კრიტიკა, თითქოსდა მოჭიდავეები მონაწილეობდნენ მშვიდობიან მომიტინგეთა დაშლაში, რაც მტკნარი სიცრუეა.

ჩვენმა ფალავნებმა 2007 წელს არნახული ნარმატებები მოიპოვეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე და პირველობებზე (სულ 26 მედალი), ასეთი შედეგები არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, არამედ კომუნისტურ ხანაშიც არ გვქონია.

ამჟამად ჩვენი მოჭიდავეები ყოველდღიური ორჯერადი ვარჯიშით, ინტენსიურად ემზადებიან, პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის, რათა კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო სპორტულ სამყაროში. ამდენად, მოჭიდავეებს განერილი აქვთ ყოველი დღე, საათი და წუთი თუ როგორ უნდა მოემზადონ ოლიმპიური თამაშებისთვის.

თუმცა, დროც რომ გვქონდეს თავისუფალი, ჩვენი ხალხის წინაალმდეგ, არა თუ ხელის აღმართვას, არამედ გულშიც არ გავივლებთ რაიმე უნებლიე წყენასაც კი.

ჩვენ ხალხს ყოველთვის უყვარდა და უყვარს გამოჩენილი ფალავნები, რასაც ვგრძნობთ ყოველდღიურად, ამ სიყვარულს გავამართლებთ ჩვენი წარმატებებით და ხალხის პატივისცემით, ყურმოკრული და თითიდან გამოწოვილი ბრალდებები, ზოგიერთი პიროვნებისაგან კი, ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ღმერთი გფარავდეთ!

საქართველოს ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲜᲣᲚ-ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ
ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲑᲘ

საქართველო-სლოვენია

ქართველები ევროთასეულზე

როკმა საბერძნეთში დაიჭუხა

გიორგი ცინცაძის „ტარტუ როკმა" ევროთასის ჯგუფური ეტაპი ხმაურიანი გამარჯვებით გახსნა - ბერძნულ პაოკ-ს გასვლაზე 69:58 აჯობა.

ამ წარმატებაში ლომის წილი სამმა „როკერმა" დაიდო: იანარ ტალტსმა, ბრაიან კუსვორსმა და გიორგი ცინცაძემ. ტალტსმა 15 ქულა და 9 მოხსნა გაიფორმა, კუსვორსმა - 14 ქულა და 8 მოხსნა, ხოლო მათი პირველი ხელშემწყობი მე-8 ნომრით მოთამაშე გიორგი ცინცაძე იყო, რომელმაც 8 შედეგიანი გადაცემა და 8 ქულა ჩაინერა (34 წუთში). მოკლედ, ზემოთნახსენები სამი ტარტუელი ხუთიანზე გაისარჯა. ფრიადის გახსენებაზე - გიორგიმ თავისი მონაგარი 5 მოხსნით გაამდიდრა, თუმცა 5 სამქულიანიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. ის ერთადერთი ტყორცნაც მნიშვნელოვან ეპიზოდში ჩაგდო: 26-ქულიანი უპირატესობის (60:34) მოპოვების შემდეგ ტარტუელებმა თავი ქუდში დაიგულეს და ბოლო მეოთხედში ფსიქოლოგიურად განიტვირთნენ. ეს მათ მეტოქემ არ აპატია და 18:3 სპურტი მოუწყო. ამ ეპიზოდში როკერთა ერთადერთი სამქულიანი ქართველი ბუს ანგარიშზე იყო. სირენამდე წუთით ადრე ბერძნებმა ჩამორჩენა 10 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ გამარჯვებისთვის დრო აღარ ეყოთ.

მატჩის შემდეგ გახარებული იყო „ტარტუს" მთავარი მწვრთნელი **ულარ კერდე:** *„მოგებით კმაყოფილი ვარ, მეტოქეს ფარზე დიდი უპირატესობით ვაჯობეთ (40 მოხსნა 25-ის წინააღმდეგ), მაგრამ ბოლო 5 წუთში რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დავუშვით და კინაღამ დავისაჯეთ".*

A ჯგუფის მეორე მატჩში რუსულმა „სამარამ" ფინური „ლაპეენრანტა" 94:82 დაამარცხა. მომდევნო კვირას, 18 დეკემბერს „ტარტუ როკი" ცინცაძის ყოფილ კლუბ „სამარას" უმასპინძლებს.

გიორგი ცინცაძე (8) პაოკთან მატჩში

კადეტთა ნაკრები

ელიტარულობა ძნელი ყოფილა

საქართველოს ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ისკარში გამართული ტურნირი უნგრეთთან მატჩით დაასრულა. ვიდრე უშუალოდ მადეარებთან შეხვედრაზე მოგახსენებდეთ, ყველა მატჩის შედეგს გაგაცნობთ: სლოვენია-საქართველო 77:62, ესპანეთი-საქართველო 96:34, პოლონეთი-საქართველო 90:52, უნგრეთი-საქართველო 72:67.

როგორც ხედავთ, ქართველებმა ოთხივე შეხვედრა დათმეს, თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მეტოქეებად ძლიერი ნაკრებები ჰყავდათ. მწვრთნელი **გელა წულაძე** წასვლამდე ამბობდა - ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარი ამოცანა გუნდის ჩამოყალიბებაზე ზრუნვაა, რათა ზაფხულში გასამართ ევროპის ჩემპიონატს სათანადოდ მომზადებულნი შევხვდეთო.

ჩვენს გაზეთში სლოვენიასთან დაპირისპირებაზე უკვე გესაუბრეთ, ამიტომ ახლა მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში ქართველთაგან თავი მერაბ ბოქოლიშვილმა გამოიჩინა, რომლის ანგარიშზე 19 ქულაა.

მეორე შეხვედრაში მეტოქე ერთიორად ძლიერი იყო. შედეგიც შესაბამისი დაფიქსირდა - ესპანელებმა 96:34 მოგვიგეს. საყურადღებოა, რომ ქართველებმა პირველი ტაიმი 11:49 (!) წააგეს. ასეთ რთულ მატჩში ძნელია ვინმეს გამორჩევა, ამის საშუალება არც სტატისტიკამ მოგვცა - ყველაზე მეტი, 8 ქულა **თენეიშვილმა** ჩაგდო. ესპანელებმა ფარზეც დაგვჩაგრეს - ბურთი 64-ჯერ მოხსნეს, მაშინ როცა ჩვენიანებმა ეს 21-ჯერ გააკეთეს.

თავიდან ვერავინ იფიქრებდა, მაგრამ თურმე, ესპანელებზე არანაკლები გუნდი პოლონელებს ჰყოლიათ. მათ 90:52 მოგვიგეს. ვერც ამ მატჩიდან გამოვარჩევთ ვინმეს.

მეოთხე შეხვედრაში საქართველოს კადეტთა ნაკრები ასევე აუტსაიდერ უნგრეთს დაუპირისპირდა. თანაბარ ბრძოლაში გამარჯვების ბედი თავის სასარგებლოდ უნგრეთმა ბოლო მეოთხედში გადაწყვიტა - 72:62. ისევე როგორც პირველის, ბოლო მატჩის სნაიპერობა **მერაბ ბოქოლიშვილმა** იკისრა. მის ანგარიშზე 21 ქულაა. მერაბს 2 ქულით ჩამორჩა **ლევან ელაიძე**, რომელმაც 5 სამქულიანი გამოიყენა. საყურადღებოა, რომ გელა წულაძის შეგირდებმა მეტოქეს მოხსნებშიც აჯობეს (34:30), პასებშიცა (7:3) და ჩაჭრებშიც (6:3), მაგრამ მატჩი ვის სასარგებლოდაც დასრულდა, უკვე მოგახსენეთ.

ისკარის ტურნირზე ადგილები ასე გადანაწილდა: 1. ესპანეთი, 2. თურქეთი, 3. კასტილია-ლეონი, 4. სლოვენია, 5. იტალია, 6. პოლონეთი, 7. უნგრეთი, 8. საქართველო.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

კიევი პირველად შერცხვა

სეზონში პირველად შერცხვა მანუჩარ მარკოიშვილის „კიევი", რომელმაც ულების თასზე შინ იტალიურ „ბენეტონთან" ვერაფერი გააწყო (73:89).

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი იტალიაში კიეველების სასარგებლოდ დასრულდა და ყველა უკრაინელთა მორიგ გამარჯვებას ელოდა.

ასევე ყველასათვის მოულოდნელად ჩვეული თამაში ვერც ერთმა კიეველმა ვერ ააწყო, საპირისპიროდ ბენეტონელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, მათ 20-დან 13 სამქულიანი გამოიყენეს, მაშინ როცა მასპინძლებმა 28-დან 9 შორეული ტყორცნა ჩააგდეს.

პერიმეტრზე ჩვეულად ვერც მანუჩარ მარკოიშვილი გაისარჯა. მან ზედიზედ მეორე შეხვედრაში 4 სამიანი სტყორცნა, მაგრამ ოთხივე მიზანს ააცილა. საბოლოოდ მანუმ 24 წუთში 6 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა. მატჩის სნაიპერი ბენეტონელი ლიონელ ჩელმერსი გახდა - 22 ქულა.

წაგების მიუხედავად „კიევმა" სატურნირო ცხრილში ლიდერობა შეინარჩუნა.

ვაჟა სიმონიშვილი

მე-6 ტური

კიევი (უკრაინა)- ბენეტონი (იტალია)	73:89
პო ორტეზი (საფ.)-არტლანდი (გერმ.)	61:79
აკადემიკი (ბულგ.)-რიგა (ლატვია)	93:77

ჩ ჯგუფი	თ	მ	ნ	ქ
1. კიევი	6	4	2	10
2. არტლანდი	6	4	2	10
3. აკადემიკი	6	4	2	10
4. ბენეტონი	6	3	3	9
5. რიგა	6	2	4	8
6. პო ორტეზი	6	1	5	7

ჭადრაკი

ინტერვიუ მერაბ გაგუნაშვილთან

სულით ხორცამდე ქართველი ვარ, მაგრამ წასვლაზე ვფიქრობ!

მერაბ გაგუნაშვილი

რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში ორი კვირაა, მსოფლიოს თასის გათამაშება მიმდინარეობს - დარჩენილია მხოლოდ ფინალური მატჩი, რომელშიც ამერიკელი გატა კამსკი და ესპანელი ალექსი შიროვი ხვდებიან ერთმანეთს.

მსოფლიო თასზე ქართველი მერაბ გაგუნაშვილიც ასპარეზობდა, რომელსაც პირველ წრეში ჩინელი ჭან პენსიანი შეხვდა. მერაბი რეიტინგით კი ჩამორებოდა ჩინელს, მაგრამ მოგების შანსი მაინც ჰქონდა - საერთო სათამაშო უპირატესობას ფლობდა, თუმცა რეალიზება ვერ შეძლო: ორი კლასიკური პარტია ყაიმით დასრულდა; დამატებით სწრაფ პარტიებში კი 0,5:1,5 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

სამწუხაროდ, მერაბმა ვერ შეძლო იმ კრიზისის დაძლევა, რომელიც კარიერაში აქვს - რამდენიმე ტურნირში სუსტად ითამაშა და შეუფერებლად დაბალი ადგილები დაიკავა.

ჩვენთან ინტერვიუში მერაბმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილია, თუ რა არის ბოლოდროინდელი ჩავარდნის მთავარი მიზეზი, თუმცა იქვე დაამატა, რომ ვითარების გამოსწორების დიდად არ ეიმედება. ასეთი პესიმიზმი შესაძლოა, კიდევ უარესი და ჩვენთვის სამწუხარო მოვლენის კატალიზატორი გახდეს - არ არის გამორიცხული, რომ მერაბ გაგუნაშვილმა საქართველო დატოვოს და სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობა არჩიოს. ამაზეც და სხვა საკითხებზეც თამამად გვესაუბრება საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრაკე.

- მერაბ, პირველ წრეში წაგება ალბათ ძალიან გეწყინათ, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ალბათ მოულოდნელიც არ იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საუკეთესო ფორმაში არა ხართ.

- მართლაც არ გახლავართ კარგ ფორმაში, მაგრამ პირველი წრის გავლას მაინც ვიმედოვნებდი. სხვათა შორის, თავს არცთუ ცუდად ვგრძნობდი და ვთვლი, რომ მატჩი არ უნდა წამეგო: ინიციატივას მე ვფლობდი, მაგრამ მეტოქე ახერხებდა გათანაბრებას; ბოლო პარტიაში კი ნამდვილად მაჯობა და დავმარცხდი. წაგებამ ძალიან დამწყვიტა გული - აღარ მახსოვს ბოლოს ასე როდის განვიცადე მარცხი. ამის შემდეგ სერიზულად დავფიქრდი ჩემს მომავალ კარიერაზე და შესაძლოა რადიკალური გადაწყვეტილება მივიღო.

- რას გულისხმობთ?

- ბოლო წლებია, ქართველი მოჭადრაკეები მსგავს ტურნირებში წარმატებას ვერ აღწევენ - არის რამდენიმე გამონაკლისი, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. თუკი სადმე წარმატებას მივაღწევთ, არავინ ჩირადაც არ გვაგდებს და აბსოლუტურად უყურადღებოდ გვტოვებენ. არავითარი მხარდაჭერა არა გვაქვს სახელმწიფოსგან, ჭადრაკის ფედერაციას კი სათანადო ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნია.

ჭადრაკი ინდივიდუალური სახეობა კი არის, მაგრამ არც თავად მოჭადრაკეებს შეუძლიათ ინდივიდუალურად მომზადება. ამისთვის აუცილებელია მინიმუმ ერთი უმაღლესი დონის მწვრთნელის ყოლა, რომელიც ძალიან ძვირი ჯდება. რა გამოდის - მოჭადრაკეს არ შეუძლია მწვრთნელი დაიქირაოს, ფედერაციასაც არ ძალუძს ასეთი სამსახურის გაწევა და შედეგად ვიღებთ ჭადრაკის დონის დაცემას ქვეყანაში. ამიტომ, თუ მსურს, რომ მოჭადრაკედ დავრჩე და ამ პროფესიით ვიცხოვრო, არ არის გამორიცხული, სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლა გადავწყვიტო.

- სამწუხაროა, მაგრამ ასეთი რამ სპორტსმენის ცხოვრებაში ხდება ხოლმე. გაქვთ კონკრეტული წინადადებები?

- არც უმაგისობაა, მაგრამ ჯერ არაფერს ვიტყვი, რადგანაც გადაწყვეტილი არაფერი მაქვს. უნდა გითხრათ, რომ ჩემი სამშობლო ძალიან მიყვარს და სხვაგან ცხოვრება ვერც წარმომიდგენია, ამიტომ ძალიან გამიჭირდება უცხოეთში. თუმც. შეიძლება სამშობლოში ვიცხოვრო და ტურნირებში სხვა ქვეყნის სახელით ვითამაშო...

- თქვენ მიიჩნევთ, რომ საერთოდ არაფერი კეთდება საქართველოში ჭადრაკის განვითარებისთვის?

- ძალიან ცოტა რამ. ეს ცოტა კი იმდენად უმნიშვნელოა, რომ თქმადაც არ ღირს. თუმც ვერ ვიტყვი, რომ ზოგადად ქართულ სპორტში არაფერი კეთდება. რაღაც რაღაცეები შეიცვალა და ეს შესაძლოა იმედს ბადებდეს, რომ ჭადრაკის დროც დადგება.

- ეგებ მოჭადრაკეთა ბრალიც ერიოს ამ წარმატებაში? თქვენ თვლით, რომ დამნაშავე მხოლოდ გარემო და სახელმწიფოა?

- კატეგორიული და ცალმხრივი ნამდვილად არ ვარ. ქართველები მართლაც ნიჭიერები ვართ და დღევანდელ თაობაში ძალიან ძლიერი მოჭადრაკეები არიან, მაგრამ აქ წინა პლანზე წმინდა ქართული ხასიათი გამოდის - უდარდელობა, სიზარმაცე და ნაკლები შრომისმოყვარეობა. მეც, რიგ შემთხვევებში ვერ ვუძლებ ცხოვრებისეულ სიამეთა ცდუნებას და რეჟიმს ვარღვევ ხოლმე. სამწუხაროდ, ასეა თითქმის ყველა ქართველი მოჭადრაკე. წარმატებისთვის თავაუღებელი, ყოველდღიური მუშაობაა საჭირო, სხვაგვარად დიდ სიმაღლეებს ვერ დაიპყრობ. მიუხედავად ამისა, თუკი ხელშეწყობა გვექნება, შეირჩევა განვითარების და მზადების საერთო გეგმა, წარმატების მიღწევა შეიძლება. ჩემი აზრით, დღეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას არ გააჩნია ერთიანი, სრულად გააზრებული წარმატების მომტანი გეგმა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, საკუთარ თავს თავადვე მივხედოთ.

- თქვენ თუ გიფიქრიათ ასეთ გეგმაზე?

- რა თქმა უნდა და იმ დასკვნამდე მივედი, რომ გუნდური მზადების პრინციპი უნდა გამოვიყენოთ. ანუ ქართველმა მოჭადრაკეებმა ერთმანეთთან უნდა ივარჯიშონ და ამ გზით მოახდინონ ძვირადღირებული უცხოელი სპეციალისტების დეფიციტის კომპენსირება. მე, მაგალითად, როცა სერიოზული ტურნირსთვის ვემზადები, ქართველ დიდოსტატებთან სპარინგს ვცდილობ. ამ დროს თანხაც არ არის საჭირო და ვარჯიშიც ნაყოფიერია.

- საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, ზვიად იზორია, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს უკვე ორი წელია. მერაბ გაგუნაშვილის დაკარგვაც არ უნდა იყოს მცირე დანაკლისი. ეგებ, არის კიდევ რეზერვი ჩვენს ქვეყანაში, ეგებ არ ღირდეს რადიკალური ნაბიჯის გადადგმა...

- წელანაც ვთქვი, რომ შესაძლოა ჭადრაკსაც მიხედონ, მაგრამ როდის იქნება ეს და რამდენად დიდი მხარდაჭერა გვექნება, რთული სათქმელია. ასეთი აზრი უცებ არ იბადება და არც გადაწყვეტილების მიღება ხდება მყისიერად, ამიტომ არ მაქვს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ ბევრსაც რომ ვეღარ მოვითმენ, ნამდვილია.

ზვიად შათირიშვილი

ხელბურთი

უტევს ვლადიმერ რუსია

ინტერვიუ ვლადიმერ რუსიასთან

თურქეთში ვერა, ნორვეგიაში აუცილებლად!

მართალია, ვლადიმერ რუსიამ და მისმა რუმინულმა „დინამომ“ სეზონი არცთუ ისე სახარბიელოდ დაიწყეს, მაგრამ მერე ნელ-ნელა დალაგდნენ, საკუთარი თამაში იპოვნეს და ახლა მედლებისთვის ბრძოლაზე ფიქრიც დაიწყეს. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს გუშინ რუმინეთში შევეხმიანეთ.

- სეზონის წინ, „დინამომ“ ერთბაშად ცხრა ახალი ხელბურთელი შეიძინა და შეთამაშების პრობლემა გვაწუხებდა. ამის გამო, გაუთვალისწინებელი ქულები დავკარგეთ და ახლა მხოლოდ მეხუთე ადგილზე ვართ რუმინეთის ჩემპიონატში. თუმცა, ბოლო მატჩებში უკვე დაგვეტყო, რომ ჩვენი თამაში ვიპოვნეთ, დავლაგდით და გამარჯვებებს გავუშინაურდით.

- რა მიზნები გაქვთ ნლეულს?

- მინიმუმ, სამეულში მოხვედრა, რაც სავსებით რეალურია. ჩვენს წინ მყოფი გუნდები 2-4 ქულით გვისწრებენ და მათი დაწევა ნამდვილად შეგვიძლია. რაც შეეხება ჩემპიონობას, ეს გაცილებით რთული იქნება, რადგან პირველადგილოსანს მთელი რვა ქულით ჩამოვრჩებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენსას შევეცდებით, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ რა გამოგვივა...

- ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ხვდები?

- ჩემი უშუალო კონკურენტია რუმინეთის ნაკრების ხელბურთელი. თავიდან, საწყის ორ შეხვედრაში არ მათამაშეს, მაგრამ მერე უკვე მოვიპოვე მწვრთნელთა ნდობა. მე და ჩემს კონკურენტს სათამაშო დროს თანაბრად გვინაწილებენ ხოლმე.

- უკრაინის ჩემპიონატის შემდეგ, რუმინეთში თამაში რთული ხომ არ არის?

- თავიდან ცოტა მართლაც გამიჭირდა, რადგან რუმინეთის ჩემპიონატი უკრაინისას გაცილებით ჯობია. აქ 14 გუნდია და თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისაა. 5 გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის, დანარჩენებიდან კი არავისთან არ არის მოგება ადვილი - განსაკუთრებით როცა სტუმრად თამაშობ. შეიძლება ითქვას, რომ უკვე გავუშინაურდი კლუბსაც და ქვეყანასაც. აქაურობა ძალიან მომწონს, რუმინეთის ჩემპიონატის დონეც საკმაოდ მაღალია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე დავრჩები. „დინამოსთან“ ხელშეკრულება მომავალი სეზონის ბოლოს მიმთავრდება.

- ჩემპიონატის მსგავსად, ევროთასებზეც გაგიჭირდათ...

- ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე მეორე ეტაპიდან ჩავერთეთ. ბერძნული აეკ-ი კი დავამარცხეთ იოლად, მაგრამ მესამე ეტაპზე შეგვხვდა ჩვენზე უკეთესი გუნდი - უნგრეთის „დუნაფერის“ სახით. ზემოთ ნახსენებ შეთამაშების პრობლემას რომ თავი დავანებოთ, უნგრელებთან რატომღაც ორივე შეხვედრაში აშკარად დაგვჩაგრეს მსაჯებმა. მართალია, „დუნაფერი“ რეალურად ჩვენზე ძლიერია, მაგრამ არა ისე, რომ შინაც და სტუმრადაც დიდი ანგარიშებით წაგვეგო.

- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. 17 დეკემბერს, ნაკრები თურქეთში მიდის საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად. მოახერხებ სათურქეთოდ ჩამოსვლას?

- სამწუხაროდ, ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ჩამოვდივარ, რადგან ბოლო ტურში ტრავმა მივიღე და სამკურნალოდ დაახლოებით ორი კვირა მჭირდება. გული მწყდება, რომ ამჯერად ვერ დავეხმარები ნაკრებს, მაგრამ რას ვიზამ. რაც მთავარია, თუ ღმერთმა გადმომხედა და ჯანმრთელად ვიქნები, 20 იანვარს აუცილებლად ვითამაშებ „ჩელენჯ ტროფის“ ფინალში.

- ფინალში ჩვენს მეტოქე ლუქსემბურგზე რას იტყვი?

- ბევრს ვერაფერს, რადგან ამ გუნდზე წარმოგაგენა არ მაქვს. დიდი ხანია ევროპაში ვთამაშობ და ცნობილი ლუქსემბურგელი ხელბურთელი არავინ მიახია. მოკლედ, ჩვენზე ძლიერი გუნდი ნამდვილად არ უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 20 იანვარს ყველა ვარიანტში მაქსიმალურად მობილიზება გვმართებს.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

 კალათბურთი

არტესტი უდანაშაულოა

დეტროიტის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდი **რონ არტესტი**. კალათბურთელს ორი დეტროიტელი გულშემატკივარი უჩიოდა, რომლებიც 2004 წელს, დეტროიტის Palace of Auburn Hills-ში, ადგილობრივი „პისტონზისა“ და „ინდიანა პეისერსის“ მატჩის დროს ამტყდარი ჩხუბისას დაზარალდნენ. მაშინ არტესტი „ინდიანაში“ თამაშობდა და მომჩივანები სწორედ მას ადანაშაულებდნენ ჩხუბის წამოწყებაში.

ოლდრიჯი ერთი კვირით დაიმტვრა

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ლიდერი ქულებისა და მოხსნების რაოდენობით, ლამარკუს ოლდრიჯი დაახლოებით ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. მიზეზი ფეხის ტრავმა გახლავთ.

„ექიმებმა მითხრეს, რომ ლამარკუსის გამოსაჯანმრთელებლად მინიმუმ ერთი კვირა იქნება საჭირო. შეიძლება სარეაბილიტაციო პერიოდმა მეტი დროც წაიღოს. ჩვენ ზუსტად მხოლოდ ის ვიცით, რომ თუ ის ვადაზე ადრე ვარჯიშს ან თამაშს დაიწყებს, შეიძლება ტრავმა გაიმიზეზოს“, - განაცხადა „პორტლენდის“ მთავარმა მწვრთნელმა ნეიტ მაკმილანმა.

მაიამი ჯექსონს გაიფორმებს

უახლოესი ორი დღის განმავლობაში, „მაიამი ჰიტის“ რიგებს შეავსებს მცველი **ლუკ ჯექსონი**. *„ის ძალიან კარგი სნაიპერია და მოედანზე ბრძოლაც შეუძლია. ჩემი აზრით, ჯექსონი ერთ-ერთი საუკეთესოა იმათგან, ვინც კი ჩვენთან გასინჯვაზე ყოფილა“*, -ამბობს „მაიამის“ მთავარი მწვრთნელი **პატ რაილი**.

გამოცდილი სპეციალისტი იხსენებს 2004 წელს, როცა ჯექსონი „მაიამის“ რიგებში ვარჯიშობდა. სამი წლის წინ, ეს კალათბურთელი დრაფტში მეათე ნომერად აირჩიეს, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და იშვიათად ჩნდებოდა მოედანზე „კლივლენდის“, „კლიპერსის“ და „ტორონტოს“ ფორმაში.

საკრამენტომ ჯონსი დაიმატა

გუშინ, „საკრამენტო კინგზმა“ ერთი ტრანსფერი განახორციელა. კერძოდ, „მეფეებმა“ კონტრაქტი გააფორმეს ფორვარდ **დანტეი ჯონსთან**. გარდა ამისა, „საკრამენტოს“ ხელმძღვანელობამ გუნდიდან დაითხოვა ცენტრალური თავდამსხმელი **დერიდ უოტკინსი**.

ჯონსი 2003 წლის დრაფტის პირველ რაუნდში „ბოსტონ სელტიქსმა“ აირჩია. ოთხი სეზონის განმავლობაში ეს კალათბურთელი „მემფის გრიზლისში“ თამაშობდა, ჩაატარა 221 მატჩი და თითოში საშუალოდ 5.1 ქულას დააგროვა.

კიდი ჩიკაგოსაც მოუნდა

გაზეთ Daily Herard-ის ინფორმაციით, „ჩიკაგო ბულზის“ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შემადგენლობა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფლეიმეიქერით, **ჯეისონ კიდით** (საშუალოდ 9.2 პასი კარიერაში) გააძლიეროს, რომელიც ამჟამად „ნიუ ჯერსი ნეტსის“ შემადგენლობაში თამაშობს. „ხარების“ სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ გუნდს დღეს **სკოტ სკაილზი** ავარჯიშებს, რომელიც თავის დროზე, კიდთან ერთად „ფინიქს სანზში“ მუშაობდა.

დიამანტიდისი მისტერ ევროპაა

იტალიური ჟურნალი Superbasket ყოველწლიურად აწესებს პრიზს „მისტერ ევროპა“. როგორც კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, 2007 წელს ეს ტიტული „პანათინაიკოსისა“ და საბერძნეთის ნაკრების მცველ **დიმიტრიოს დიამანტიდისს** ერგო. წლევანდელ ლაურეატს ძალიან ძლიერი კონკურენტები ჰყავდა: NBA-ის ფინალური სერიის MVP **ტონი პარკერი**, NBA-ის რეგულარულის MVP - **დირკ ნოვიცკი** და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე **ანდრეი კირილენკო**.

დიამანტიდისი 1987 წლის შემდეგ პირველი ბერძენი გახდა, ვინც „მისტერ ევროპას“ პრიზი მიიღო - ზუსტად 20 წლის წინ, მსგავსი პატივი წილად ხვდა ლეგენდარულ **ნიკოს გალისს**.

პეკინში საბერძნეთისა და ესპანეთის გავლით

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) ცენტრალურმა საბჭომ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირების ჩატარების ადგილი გამოაცხადა.

პეკინის ოლიმპიადის სამი დარჩენილი საგზურისთვის მამაკაცთა ნაკრებები ათენში იბრძოლებენ. ტურნირში, რომელიც 14-20 ივლისს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის, კაბო-ვერდეს, კანადის, კამერუნის, ხორვატიის, გერმანიის, საბერძნეთის, სამხრეთ კორეის, ლიბანის, ახალი ზელანდიის, პუერტო რიკოსა და სლოვენიის ნაკრებები.

5 საგზური დარჩა გასათამაშებელი ქალებს შორის. ამ ვაკანსიების პრეტენდენტები (ანგოლა, არგენტინა, ბელარუსი, ბრაზილია, ტაივანი, კუბა, ჩეხეთი, ფიჯი, იაპონია, ლატვია, სენეგალი და ესპანეთი) 9-15 ივნისს, მადრიდში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ფორმულა 1

ვინ შეცვლის ალონსოს?

„მაკლარენ-მერსედესი“ კვლავინდებურად „რენოში“ წასული **ფერნანდო ალონსოს** შემცვლელს ეძებს. ბოლო ინფორმაციით, ბრიტანული საჯინიბოს სპონსორები მოითხოვენ, რომ **ლუის ჰემილტონის** მეწყვილე აუცილებლად ესპანელი პილოტის უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ფავორიტი ხდება 36 წლის **პედრო დე ლა როსა**, რომელიც დღემდე „მაკლარენის“ ტესტ-პილოტის ფუნქციებს ასრულებს. ამ ესპანელს „იაგუარისა“ და „ეროუზის“ ბოლიდებით, ფორმულა 1-ში 72 გრან-პრის აქვს ჩატარებული.

დე ლა როსას გარდა, ჰემილტონის პარტნიორობაზე კიდევ ორი პილოტი აცხადებს პრეტენზიას - „რენოდან“ წასული ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** და „მაკლარენის“ კიდევ ერთი ტესტ-პილოტი **გერი პეფეტი**. სწორედ ამ სამ ავტომრბოლს შორის აირჩევს ერთ-ერთს ბრიტანული გუნდის ხელმძღვანელობა.

ოლიმპიზმი

სოჭმა კრიკეტს შანსი მისცა

კრიკეტმა და სპორტულმა მეკლდეურობამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან „წინასწარ მოწონებული სპორტის სახეობის“ სტატუსი მიიღეს. ამ ნაბიჯით, კომიტეტმა ხაზი გაუსვა სპორტის ამ სახეობების წარმომადგენელთა წარმატებებს ახალგაზრდებთან მუშაობის განხრით - იტყობინება საააგენტო „როიტერი“.

უფრო ადრე, ოლიმპიურმა კომიტეტმა ანალოგიური სტატუსი მიანიჭა რაგბის, გოლფს, სქვაშს, ბრიჯს, ბაგირის გადაწევასა და სუმოს.

ზემოთხსენებული სტატუსის მიხედვით, ამ სახეობებიდან რომელიმემ, შეესაძლოა ოლიმპიურ პროგრამაში დაიმკვიდროს ადგილი, თუმცა 2020 წლამდე მსგავსი პერსპექტივა არ არსებობს.

დევისის თასი

რევოლუცია არ იქნება



როგორც ცნობილია, 2009 წლიდან პროფესიული საჩოგბურთო ტურნირების კალენდარში მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი. ამის გამო, დღის წესრიგში დადგა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) მთავარი ტურნირის - დევისის თასის რეგლამენტის კორექტირება. მაგრამ როგორც გაირკვა, მომდევნო წლებში დევისის თასი ისეთივე ფორმატით და იმავე ვადებში ჩატარდება, როგორც წინა სეზონებში. ამის შესახებ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე ITF-ის პრეზიდენტმა **ფრანჩესკო რიჩიბიტიმ** გამოაცხადა.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) და ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) უკვე დიდი ხანია გამოაცხადეს იმის შესახებ, რომ 2009 წელს, მათი ეგიდით ჩატარებული ტურნირების კალენდარში და აგრეთვე სარეიტინგო ქულების დარიცხვის სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. საერთო ჯამში, მათ ამ მხრივ რამდენიმე ფორმალობა აქვთ მოსაგვარებელი, კერძოდ, მოელაპარაკონ ITF-ს გუნდური მსოფლიო ჩემპიონატების - დევისის თასისა და ფედერაციის თასის ჩატარების თარიღებზე. ინტენსიური მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს და რიჩი-ბიტის სიტყვებით, ერთ თვეში ამ საკითხზე საბოლოო შეთახმება იქნება მიღწეული.

შეგახსენებთ, რომ გაზაფხულზე ATP-ის შიგნით საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა. წამყვანი ჩოგბურთელების ჯგუფმა ასოციაციის პრეზიდენტი **ეტიენ დე ვილიერსი** გააკრიტიკა იმის გამო, რომ ATP თავისი ნოვაციებით არ ითვალისწინებდა ევროპელი და სამხრეთამერიკელი მოთამაშეების ინტერესებს. ახლა კონფლიქტი თითქოს მოგვარდა, თუმცა დღის წესრიგში დგას ჰამბურგის სუპერტურნირის ბედი. ATP აპირებს ამ შეჯიბრების სტატუსის დაქვეითებას და საქმე სასამართლომდეა მისული.

დევისის თასის დღევანდელი რეგლამენტის წინააღმდეგ, ღიად თითქოს არავინ გამოდიოდა, თუმცა მოთამაშეთა მხრიდან მაინც ისმოდა გარკვეული წინადადებები. კერძოდ, გაუქმდეს თასის გათამაშება ოლიმპიურ სეზონებში, ან სულაც გუნდური ჩემპიონატი უფრო იშვიათად, ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართოს. იყო ისეთი განცხადებებიც, რომ დევისის თასის ამჟამინდელი ფორმულა ძალიან მოძველებულია და ტურნირი უნდა გაიმართოს ერთ ქვეყანაში, უნიფიცირებულ საფარზე ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. მაგრამ რიჩი-ბიტიმ თავისი პრესკონფერენციით ყველას მიანიშნა: რეფორმების მიმდევრებს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. გარკვეული უმნიშვნელო დეტალების გარდა, ყველაფერი ძველებურად დარჩება.

პრინციპში, ITF-ის პოზიცია იოლად ასახსნელია. დევისის თასი ფედერაციის მთავარი ტურნირია და მის მიმართ სპონსორები ძველებურად დიდ ინტერესს იჩენენ. კერძოდ პორტლენდში, ამერიკისა და რუსეთის ნაკრებთა ფინალის დროს, კომპანია Hugo Boss-მა ITF-თან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სხვათა შორის, ეს ფირმა ფედერაციასთან უკვე 19 წელია თანამშრომლობს. ტურნირის პოპულარობაზე მეტყველებს მაყურებელთა ინტერესიც. ზედიზედ მეშვიდე წელია, მსოფლიო ჯგუფის მატჩებზე დასწრებამ 500 ათასს ადამიანს გადააჭარბა. ეს არც არის გასაკვირი. წლევანდელ გათამაშებაში, საუკეთესო ოცეულის 18 წევრმა მინიმუმ ერთხელ მაინც ითამაშა დევისის თასის მატჩში.

ამჟამინდელი რეგლამენტის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი მატჩების მესამე დღეა, როცა ერთეულთა შეხვედრები ხშირად ფორმალობად იქცევა ხოლმე. ასე მოხდა მაგალითად, პორტლენდის ფინალში. მაგრამ რიჩი-ბიტის ეს ფაქტი დიდად არ აღელვებს: *„1999 წლის შემდეგ, როცა მე ITF-ის პრეზიდენტი გავხდი, ფინალში მსგავსი შემთხვევა პირველად მოხდა“*.

დევისის თასის დღევანდელი ფორმულა მართლაც არ არის უნაკლო. მოთამაშეებს ძალიან უჭირთ „დიდი სლემის“ ჩემპიონატებისა და მაიამის სუპერტურნირის შემდეგ, ერთ კვირაში დევისის თასზე თამაში. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ITF და ATP ამ პრობლემის მოგვარების გზებს იპოვნიან, თუმცა ეს იოლი ნამდვილად არ იქნება, რადგან რიჩი-ბიტი დათმობას არ აპირებს. ამ კონსერვატორ ფუნქციონერს არაფრის დიდებით არ სურს კალენდრის შემცირება. იტალიელს საკმაოდ უცნაური არგუმენტი მოჰყავს - სეზონის დასრულების შემდეგ, მოთამაშეებს იმდენი ძალები მაინც რჩებათ, რომ საჩვენებელი თამაშები ჩაატარონ. ასე რომ, თანამედროვე ჩოგბურთში დაღლილობასთან დაკავშირებული პრობლემები არ არსებობს - ამბობს რიჩი-ბიტი.

როგორც ზემოთ ვთქვით, მოლაპარაკებები გრძელდება და რომელი მხარის არგუმენტები იქნება უფრო წონადი, ამას მალე გავიგებთ.

ჟუსტინი და ამელი სოკის წევრობას უმიზნებენ

სამი ქალი ჩოგბურთელი - ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**, ფრანგი **ამელი მორესმო** და ესპანელი **არანტა სანჩეს-ვიკარიო** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისიაში მოხვედრის პრეტენდენტებად გამოაცხადეს.

კომისიის არჩევნები 2008 წლის აგვისტოში, პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას გაიმართება. პრეტენდენთა სიაში სულ 31 სპორტსმენია, თუმცა მხოლოდ ოთხი მათგანი გახდება კომისიის წევრი. გარდა ამისა, ისინი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრის სტატუსსაც მიიღებენ.

ჟუსტინ ანენი მსოფლიოს პირველი ჩოგანია და მას კარიერაში „დიდი სლემის“ 7 ტურნირი აქვს მოგებული. ამელი მორესმომ 24 ტიტულს მოუყარა თავი, რომელთა შორისაა გამარჯვებები ავსტრალიის ღიაზე და უიმბლდონზე. სანჩეს-ვიკარიომ კარიერა 2002 წელს დაასრულა. დიდ ჩოგბურთში 17-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე, ესპანელმა ერთეულებში 29, ხოლო წყვილებში 69 ტურნირი მოიგო.

რაც შეეხება სოკ-ის სპორტსმენთა კომისიას, ის 1981 წელს შეიქმნა მოქმედ სპორტსმენთა და ოლიმპიურ კომიტეტთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. კომისიაში შედიან როგორც მოქმედი, ისე აქტიური სპორტიდან წასული ათლეტები. წელინადში მინიმუმ ერთხელ, სპორტსმენები სოკ-ის აღმასრულებელ კომიტეტს ხვდებიან და მიმდინარე საკითხებს განიხილავენ.

იმისთვის, რომ კომისიის წევრი გახდეს, სპორტსმენს ოლიმპიადაზე გამოსვლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, ანტიდოპინგური პოლიტიკის თვალსაზრისით, უნაკლო რეპუტაციითაც უნდა სარგებლობდეს.

სპორტსმენთა კომისიის თავმჯდომარე ლეგენდარული ჭოკით მხტომელი, უკრაინელი **სერგეი ბუბკა** გახლავთ. სხვათა შორის, ამ მომენტისთვის კომისიაში არცერთი ჩოგბურთელი არ ირიცხება.

ჰოკეითბურთი

NBA. რეგულარული

ჩიკაგო-სიეტლი 123:96

27:31, 40:18, 30:24, 26:23

ჩიკაგო: გორდონი (27 ქ. 6 ა. 5 მ), დენგი (20 ქ. 5 ა. 4 მ), ჯო სმიტი (19 ქ), პაინრიხი (15 ქ. 8 ა. 6 მ. 2 ჩ).

სიეტლი: დიურანი (16 ქ), შერბიაკი (12 ქ. 4 მ. 4 ა), ჟელაბალი (12 ქ).

იუტა-პორტლენდი 89:97

27:29, 19:26, 20:23, 23:19

იუტა: ბუზერი (29 ქ. 13 მ. 2 ჩ), მილსეპი (14 ქ. 9 მ), დ. უილიამსი (11 ქ. 9 ა. 6 მ. 4 ჩ), ოქტური (9 ქ. 5 მ).

პორტლენდი: უებსტერი (25 ქ. 5 მ), როი (16 ქ), ჯეკი (16 ქ), ტ. აუთლო (11 ქ. 5 მ), ფრაი (10 ქ), პრეიბილა (6 ქ. 10 მ. 5 დ).

გოლდ. სტ-სან ანტონიო 96:84

23:25, 30:12, 26:27, 17:20

გოლდენ სტეიტი: ს. ჯექსონი (20 ქ. 5 მ. 5 ა. 4 ჩ), ბ. დევისი (18 ქ. 6 მ. 6 ა. 3 ჩ), ბარნსი (16 ქ. 8 მ. 4 ა. 3 ჩ. 2 დ), აზუბუიკე (16 ქ. 9 მ. 2 ა), ბიედრინსი (17 ქ. 7 მ).

სან ანტონიო: ბონერი (25 ქ. 17 მ), ჯინობილი (13 ქ), ტ. პარკერი (11 ქ. 6 ა).

ატლანტა-ტორონტო 88:100

21:19, 22:35, 25:15, 20:31

ატლანტა: ჯო ჯონსონი (23 ქ. 5 ა. 4 მ), მერვინ უილიამსი (23 ქ. 6 მ), ჩილდრესი (13 ქ), ჰორფორდი (10 ქ. 10 მ. 2 ა. 2 დ).

ტორონტო: ტი. ჯეი. ფორდი (26 ქ. 8 ა), ბოში (20 ქ. 13 მ. 3 ა), კალდერონი (15 ქ. 7 ა), ე. პარკერი (12 ქ. 6 მ).

ვაშინგტონი-მინესოტა 102:88

26:26, 30:20, 27:23, 19:19

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (22 ქ. 13 მ. 5 ა), კ. ბატლერი (20 ქ. 10 მ. 4 ა), რ. მეისონი (17 ქ. 4 მ), სტივენსონი (14 ქ. 5 ა), ა. დენიელსი (12 ქ. 4 ა. 3 ჩ), ჰეივუდი (11 ქ. 14 მ).

მინესოტა: კ. სმიტი (36 ქ. 8 მ), ჯეფერსონი (14 ქ. 8 მ), ტელფეირი (11 ქ. 10 მ), კ. ბრიუერი (9 ქ. 9 მ).

ნიუ ჯერსი-კლიპერსი 82:91

21:23, 25:23, 17:21, 19:24

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (21 ქ. 2 ჩ), ვ. კარტერი (16 ქ. 4 მ), მ. ალენი (14 ქ. 2 ჩ), კიდი (11 ქ. 11 ა. 10 მ. 2 ჩ), ბუნი (7 ქ. 14 მ. 2 ჩ. 2 დ).

კლიპერსი: კამანი (18 ქ. 14 მ. 2 დ), ტიმ ტომასი (18 ქ. 4 ა), მაგეტი (13 ქ. 10 მ. 4 ა), დიკაუ (11 ქ).

მემფისი-დეტროიტი 103:113

22:37, 26:24, 26:29, 29:23

მემფისი: გეი (20 ქ. 8 მ. 3 ა), გასოლი (18 ქ. 8 მ. 5 ა), ლოური (18 ქ), უორიკი (17 ქ. 6 მ), მილიჩიჩი (12 ქ), მ. მილერი (5 ქ. 11 მ. 4 ა).

დეტროიტი: ბილაპსი (28 ქ. 14 ა. 5 მ. 3 ჩ), რ. ჰამილტონი (27 ქ. 5 მ. 3 ა), პრინსი (19 ქ. 7 მ. 5 ა)მაქსიელი (15 ქ. 5 მ).

კლივლენდი-ინდიანა 118:105

37:16, 28:33, 32:25, 21:31

კლივლენდი: ლ. პოუზი (36 ქ. 4 მ. 3 ა. 3 ჩ. 2 დ), ლ. ჯეიმსი (17 ქ. 5 ა), ილგაუსკასი (17 ქ. 5 მ), პაველოვიჩი (12 ქ), გუდენი (7 ქ. 11 მ. 4 ა).

ინდიანა: მ. დანლივი-უმცროსი (23 ქ. 5 ა. 4 მ), ჯ. ონილი (18 ქ. 4 მ), მერფი (14 ქ. 12 მ. 2 ჩ), ს. უილიამსი (12 ქ), გრეინჯერი (11 ქ), ტინსლი (10 ქ. 9 ა. 4 მ. 3 ჩ).

ХОКЕЙ

ტამპა ბურკოში სენტ ლუისს იძლევა

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ტამპა ბეი ლაითნინგი“ კვალიფიციური მცველის ძიებაშია და გუნდის ხელმძღვანელობა მზად არის, დაცვითი ხაზის გასაძლიერებლად წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, **ვენსან ლეკავალიე** დათმოს.

ამჯერად, „ტამპა ბეისთან“ დაკავშირებით ახალი ინფორმაცია ვრცელდება. გუნდი მაღალი დონის მეკარის გადაბირებითაც არის დაინტერესებული და მოლაპარაკებებს აწარმოებს „დალას სტარზთან“. TSN-ის ცნობით, „ტამპა“ თმობს თავის ერთ-ერთ ლიდერს, ფორვარდ **მარტინ სენტ ლუისს**, სანაცვლოდ კი, მეკარე **მარტი ტურკოს** ითხოვს.

„ტამპა ბეიში“ მეკარეების მხრივ მართლაც დიდი პრობლემაა - ამ გუნდის გოლკიპერები, **იოჰან ჰოლმკვისტი** და **მარკ დენი** საშუალოდ მატჩში სამ-სამ შაიბაზე მეტს უშვებენ.

საკიკი ჯანმრთელია, მაგრამ...

რომორც ცნობილია, „კოლორადო ეველანშის“ კაპიტანმა **ჯო საკიკმა** საზარდულის ტრავმის გამო ექვსი შეხვედრა გამოტოვა. კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ ვეტერანი ფორვარდი უკვე გამოჯანმრთელდა და ვარჯიშებიც განაახლა, მაგრამ საკიკის გამოჩენა უახლოეს მატჩებში გამორიცხულია.

ამ სეზონში, 38 წლის თავდამსხმელმა 24 მატჩი ჩაატარა და 22 ქულა (7+15) დააგროვა.

ნეშვილს ლიდერები არ ეთმობა

„ნეშვილ პრედატორზი“ აგრძელებს თავისი წამყვანი ჰოკეისტების შენარჩუნებას. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, გუნდმა ახალი, ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **დევიდ ლეგვანდთან** - ეს უკანასკნელი ამ ხელშეკრულების თანახმად 27 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ნეშვილის“ გენერალური მენეჯერი, **დევიდ ჰოილის** განცხადებით, კლუბმა კიდევ ოთხ ჰოკეისტს შესთავაზა ახალი კონტრაქტები. ესენი არიან - მცველები **რაიან სატერი** და **ში უებერი** და ფორვარდები - **მარტინ ერატი** და **ჯორდინ ტუტუ**.

ეს მოთამაშეები ამ სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტები ხდებიან და „ნეშვილის“ შეფობა აქედანვე იწყებს ზრუნვას მათ შესანარჩუნებლად.

ნიდერმაიერის დაბრუნებით აილენდერსიც იხეირებს

გასულ კვირას, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის იყო, რომ დიდ სპორტს უბრუნდება სტენლის თასის შარშანდელი გათამაშების საუკეთესო ჰოკეისტი **სკოტ ნიდერმაიერი**, რითაც მან ძალიან გაახარა „ანაჰაიმ დაქსის“ გულშემატკივრები.

როგორც ირკვევა, სკოტის დაბრუნებით „ნიუ იორკ აილენდერსიც“ იხეირებს. საქმე ისაა, რომ „ანაჰაიმმა“ ნიდერმაიერისთვის სახელფასოდ 900 ათასი დოლარი უნდა გამოანთავისუფლოს. ამიტომაც ამ გუნდის რომელიმე მცველს მოუწევს „იხვების“ დატოვება. „ანაჰაიმიდან“ წასვლის სავარაუდო კანდიდატები არიან **მატიო შნაიდერი, ფრანსუა ბოშემენი** ან **სტივ ო'სალივანი**. „აილენდერსი“ მზად არის ნებისმიერ მათგანთან გააფორმოს კონტრაქტი, ვინაიდან ეს გუნდი მაღალი დონის მცველების დეფიციტს განიცდის.

კორვოს ორი მსურველი ჰყავს

ერთბაშად ორი გუნდი არის დაინტერესებული „ოტავას“ მცველის **ჯო კორვოს** (ამ სეზონში 28 მატჩი - 4 გოლი და 10 შედეგიანი გადაცემა) გადაბირებით. ესენი არიან „ედმონტონ ოილერზი“ და „კაროლინა ჰარიკეინზი“.

გაზეთ Ottawa Sun-ის ინფორმაციით, „ედმონტონი“ კორვოს სანაცვლოდ 30 წლის ცენტრფორვარდ **ჯარედ სტოლს** ან მარცხენა გარემარბ **რაფი ტორესს** დათმობს.

ლიგაში 31 გუნდი იქნება?

2009-10 წლების სეზონიდან, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში შესაძლოა 31 გუნდმა ითამაშოს. Boston Globe-ის ცნობით, ლას ვეგასის (ნევადას შტატი) მთავრობა ჰოკეის გუნდის შეკრებას აპირებს, რომელიც ორი წლის შემდეგ ჩაებმება რეგულარულ ჩემპიონატში.

ვარაუდობენ, რომ კლუბის ღირებულება 300 მილიონ დოლარს გადააჭარბებს, ხოლო მისი ერთ-ერთი მფლობელი გახდება ცნობილი ჰოლივუდელი პროდიუსერი **ჯერი ბრუკჰაიმერი**.

ჩოგბურთი

მარეი ბრიტანელთა რჩეულია

20 წლის შოტლანდიელი **ენდი მარეი** 2007 წელს, ბრიტანეთის საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარეს. მსოფლიოს მე-11 ჩოგანის კანდიდატურას გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ქალთა შორის ანალოგიური ტიტული WTA-ს რეიტინგის 125-ე ნომერ **კეტი ო'ბრაიენს** ერგო. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია 18 დეკემბერს, ეროვნულ საჩოგბურთო ცენტრში გამართება.

გასულ სეზონში ენდიმ სულ ორი ტიტული მოიგო - იმარჯვა სანკტ-პეტერბურგისა და სან ხოსეს ტურნირებზე. გარდა ამისა, დოჰასა და მეცში ფინალში ითამაშა. ბრიტანელმა 2007 წლის სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა.

საუკეთესო იუნიორი ლატვიელია

ორი დღის წინ, ამერიკის ქალაქ კი-ბისკეინში წლის საუკეთესო იუნიორი ჩოგბურთელი გამოვლინდა.

18-წლამდელთა სეზონი Orange Bowl-ის ტრადიციული ტურნირით დასრულდა, რომლის ფინალშიც ლატვიელმა **რიკარდას ბერანკისმა** 6:3, 6:3 დაამარცხა ბულგარელი **გრიგორ დიმიტროვი**.

წელს, ბერანკისმა იუნიორთა შორის აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, გარდა ამისა, ავსტრალიის ღიაზე და უიმბლდონზე ნახევარფინალში გააღწია. Orange Bowl-ის მოგების შემდეგ, ლატვიელი იუნიორთა რეიტინგში პირველ ადგილზე გადავიდა. მანამდე, ექვსი თვის განმავლობაში, კლასიფიკაციას ბელარუსი **ვლადიმერ იგნატიჩი** ლიდერობდა.

შავაიმ ივანოვიჩს მოუგო

ამ დღეებში, უნგრეთის ჩოგბურთის ფედერაციას 100 წელი შეუსრულდა და ამ თარიღის აღსანიშნავად, ბუდაპეშტში საინტერესო საჩვენებელი შეხვედრა გაიმართა. მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი, უნგრელი **აგნეს შავაი** სერბ **ანა ივანოვიჩს** დაუპირისპირდა.

მეტოქეებმა პირველი ორი სეტი (ერთნაირი ანგარიში - 6:4) გაცვალეს და ყველაფერი მესამე პარტიაში გაირკვა, სადაც პირდაპირ ტაი-ბრეიკი გათამაშდა. მე-19 ნომერმა შავაიმ 7:5 გაიმარჯვა და ურთულეს ბრძოლაში მოუგო WTA-ს რეიტინგის მეოთხე ჩოგბურთელს.

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ფილადელფია-პიტსბურგი 8:2
2:2, 3:0, 3:0

გოლები: 1:0 ლუპული-7 (უმბერგერი-13, მ. რიჩარდსი-18), 2:0 ლუპული-8 (ქობურნი-9, მ. რიჩარდსი-19), 2:1 რაიან უიტნი-6 (გონჩარი-20, კროსბი-27), 2:2 სიკორა-11 (მალკინი-25, კროსბი-28), 3:2 უმბერგერი-4 (ლუპული-12, მ. რიჩარდსი-20), 4:2 უმბერგერი-5 (ლუპული-13, ჯ. სმიტი-3), 5:2 ნუბლი-9 (ლუპული-14, კ. ტიმონენი-13), 6:2 ლუპული-9 (ნუბლი-9, ბრიერი-19), 7:2 ქობურნი-2 (უმბერგერი-14, რ. ჯონსი-10), 8:2 უმბერგერი-6 (პოტულნი-1).

მონრეალი-ტამპა ბეი 2:3 (ბ)
0:0, 1:2, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 კოვალიოვი-13 (კოსტიცინი-7), 1:1 ლეკავალიე-20 (ბ. რიჩარდსი-19, კუბა-13), 1:2 ა. რუა-2, 2:2 პლეკანეცი-10.

ბულიტები გაიტანეს: ბ. რიჩარდსი (ტამპა ბეი).

ფლორიდა-კალგარი 1:2 (ბ)
0:0, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ო. იოკინენი-16, 1:1 იგინლა-17 (ტანგეი-21, რეგერი-5).

ბულიტები გაიტანეს: ჰუსელიუსი (კალგარი).

სენტ ლუისი-ედმონტონი 4:5 (ბ)
1:1, 3:2, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ბეკსი-3 (სტემნიაკი-13, ბოიესი-8), 1:1 ჰორკოფი-15 (ჰემსკი-15), 2:1 უეიტი-3 (კარია-19, ე. ჯონსონი-7), 2:2 პენერი-8 (ჰორკოფი-18, ჰემსკი-16), 3:2 ბოიესი-18 (უეიტი-7, ჯონსონი-8), 3:3 სურეი-2 (პიტკანენი-4, ჰემსკი-17), 4:3 უეიტი-4 (ჯონსონი-9, ბოიესი-9), 4:4 პიზანი-1 (რ. ნილსონი-9, სემ განიე-11).

ბულიტები გაიტანეს: ჰორკოფი (ედმონტონი).

სან ხოსე-მინესოტა 4:1
1:0, 3:0, 0:1

გოლები: 1:0 პაველსკი-6 (რივე-11, ჯ. ტორნტონი-24), 2:0 გრირი-5 (ტ. მიტჩელი-5, რისმილერი-3), 3:0 ბერნიე-6 (გოკი-1), 4:0 ბერნიე-7 (პაველსკი-6, მარლო-9), 4:1 რადივოევიჩი-3 (დემიტრა-9, გაბორიკი-14).

ტურის მოვლენები

- „ფილადელფიამ“ შეწყვიტა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია.

- „ფლაიერსის“ ორმა მოთამაშემ - **ჯეფრი ლუპულმა** და **ჯეი არ უმბერგერმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა. გარდა ამისა, ლუპულმა სამი საგოლე პასი მიითვალა, უმბერგერმა - ორი.

- უკანასკნელად, „ფილადელფიას“ მოთამაშემ ერთ მატჩში ექვსი ქულა 1997 წლის 1 მარტს დააგროვა. ეს ჰოკეისტი იყო **ერიკ ლინდროსი** და ახლა მისი შედეგი ლუპულმა გაიმეორა.

- 1986 წლის 18 დეკემბრის შემდეგ პირველად, „მფრინავების“ ორმა ჰოკეისტმა ერთ მატჩში ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა. 21 წლის წინ, ეს **ტიმ კერმა** და **დეივ პოლენმა** შეძლეს.

- „ფილადელფიამ“ ამ სეზონში 3-დან 3 მატჩი მოუგო „პიტსბურგს“, არადა შარშან, ამ გუნდების რვავე დაპირისპირება „პინგვინების“ გამარჯვებით დასრულდა.

- „პიტსბურგმა“ შეწყვიტა 4-მატჩიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

- „მონრეალ კანადიენსმა“ შინ ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო. ეს გუნდი ბოლო 8 მატჩში მეექვსედ დამარცხდა.

- „ტამპას“ ფორვარდმა **ვენსან ლეკავალიემ** ზედიზედ [illegible] ტანა 20 გოლი. ჰოკეისტმა ამ ზღვარის გადალახვა მხოლოდ ერთხელ, თავის სადებიუტო სეზონში (1998-99) ვერ შეძლო - მაშინ ლეკავალიემ 13 შაიბა შეაგდო.

■ ■ ■

- „კალგარი“ ზედიზედ რვა თამაშია ვერ ახერხებს მატჩში სამ გოლზე მეტის გატანას.

■ ■ ■

- „სენტ ლუისისა“ და „ედმონტონის“ მატჩის წინ სპეციალური ცერემონია გაიმართა, რომელიც **კეიტ ტკაჩუკის** მიერ ლიგაში ჩატარებულ მე-1000 შეხვედრას მიეძღვნა. ეს ფორვარდი 28-ე ამერიკელია, ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

- „ედმონტონმა“ 1999-2000 წლების სეზონიდან მოყოლებული, მხოლოდ მეორედ დაამარცხა „სენტ ლუისი“ (15 მატჩში 13 წაგება).

- „ბლუზმენებმა“ შეწყვიტეს 6-მატჩიანი საშინაო მოგებათა სერია.

- „სენტ ლუისის“ ვეტერანმა ფორვარდმა **დაგ უეიტმა** ბოლო 3 მატჩში 4 გოლი მიითვალა.

■ ■ ■

- „სან ხოსემ“ ბოლო ექვს მატჩში მეხუთე გამარჯვებას მიაღწია.

- „ზვიგენების“ მეკარემ **ევგენი ნაბოკოვმა** 36 დარტყმა მოიგერია. მის წყალობით, „სან ხოსეს“ დასავლეთში ყველაზე ნაკლები - 66 შაიბა აქვს გაშვებული.

- „მინესოტამ“ ბოლო ოთხ მატჩში მესამედ წააგო.

კურიოზი

შუმი საუკეთესო ტაქსისტია

ერთი კურიოზული შემთხვევის წყალობით, რომელიც ლეგენდარულ გერმანელ პილოტ **მიხაელ შუმახერს** ამ დღეებში ბავარიაში შეემთხვა, პილოტის უამრავ ტიტულს კიდევ ერთი - გერმანიის ყველაზე სწრაფი ტაქსისტის არაოფიციალური ტიტული დაემატა. თითქოს ნაცნობი სიტუაციაა: ტაქსი, ოჯახს აეროპორტში მიეჩქარება და რა თქმა უნდა, აგვიანდება. რა უნდა ქნან? „ფერარის“ ყოფილმა პილოტმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

შუმახერმა მძღოლს ადგილი გაუცვალა, ახალგაზრდობა გაიხსენა და უმოკლეს დროში, მანქანა აეროპორტის კარებთან მიიყვანა, რაც მთავარია, დროულად.

„ის, რომ მგზავრის ადგილას ვიჯექი, უკვე უჩვეულო სიტუაცია იყო ჩემთვის, მაგრამ კიდევ უფრო განსაცვიფრებელი ის გახლდათ, რომ საჭესთან თვით მიხაელ შუმახერი იჯდა. ის მაქსიმალური სიჩქარით მიქროდა და ყველა მოსახვევში დაუჯერებელი მანევრებით შედიოდა“, - განუცხადა ტაქსისტმა გაზეთ Muenchner Abendzeitung-ს.

გარდა იმისა, რომ მძღოლმა მანქანის მართვის უფასო გაკვეთილები მიიღო, ის ლეგენდარულმა „წითელმა ბარონმა“ გულუხვად დააჯილდოვა - შუმიმ მგზავრობისთვის გადასახდელ 60 ევროს, ჩაიზე 100 ევროც დაამატა.

გამოკითხვა

ჯერ ნასკარი, მერე მარია



მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ინტერნეტ-პორტალმა Yahoo!-მ, ყველაზე პოპულარული სპორტული ცნებების სია გამოაქვეყნა. ეს არის ჩამონათვალი იმ სიტყვებისა, რომელსაც ყველაზე ხშირად ეძებენ მსოფლიო ქსელში სპორტის მოყვარულები.

საპატიო პირველი ადგილი სარბოლო სერია ნასკარს ერგო - ძებნაში ყველაზე ხშირად სწორედ ამ აბრევიატურას უთითებენ. უშუალოდ სპორტსმენებს შორის კი, ყველაზე მეტად **მარია შარაპოვას** შესახებ სიახლეები აინტერესებთ - რუსი ჩოგბურთელი ნასკარის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებდა.

აქვე გთავაზობთ Yahoo!-ს მიერ ჩატარებული კვლევის საუკეთესო ათეულს:

1. NASCAR
2. მარია შარაპოვა
3. BOSTON RED SOX
4. დევიდ გეტჯემი
5. სერენა უილიამსი
6. CHICAGO BEARS
7. კრისტიანო რონალდო
8. SUPER BOWL
9. რონალდინიო
10. ეშლი ფორსი

ევროპის ჩემპიონატი

მანოდუ ხუთ ოქროს უმიზნებს

ლო მანოდუ ევროპის ჩემპიონატის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იქნება

დღეს უნგრეთის ქალაქ დებრეცენში სტარტს აიღებს მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატი მოკლე აუზში, რომლის მფლავარი ვარსკვლავი, უნგრელ **ლასლო ჩეჰთან** ერთად, ფრანგი **ლორ მანოდუ** და შვედი **სტეფან ნისტრანდი** იქნებიან.

მანოდუ ხუთ სახეობაში აპირებს მონაწილეობის მიღებას. ესენია 400 მეტრი თავისუფალი სტილით, რომელშიც მას ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, 200 მეტრი თავისუფალი სტილით, რომელზეც გრძელ (50 მეტრიან) აუზში მსოფლიო რეკორდს ფლობს, ასევე 50 და 100 მეტრი ზურგზე და 100 მეტრი შერეული სტილით.

ბევრი ვარაუდობს, რომ მანოდუს ხუთივე სახეობაში გამარჯვება გაუჭირდება, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ შარშან, გრძელ აუზში მსოფლიოს ჩემპიონატზე, მან ხუთი მედლის (მათ შორის ორი ოქროსი) აღება შეძლო, შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ, რომ დებრეცენის ტურნირზე ყველაზე მეტ ყურადღებას სწორედ მანოდუს გამოსვლა მიიქცევს.

პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე სულ რაღაც რვა თვეღა რჩება, რის გამოც, ბევრმა ვარსკვლავმა ევროპის მოკლე აუზის ჩემპეიონატზე გამოსვლისგან თავი შეიკავა. თუმცა, ყველამ არა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მოასპარეზეთა შორის იქნება უნგრელი ლასლო ჩეჰი, ვინც 400 მეტრზე შერეულ სტილში მსოფლიოს რეკორდსმენია და ევროპულ რეიტინგშიც მოწინავე პოზიცია უკავია. ის თვლის, რომ ევროპის ჩემპიონატი მისთვის მზაობის შესამოწმებელი შესანიშნავი საშუალება იქნება.

"მთავარია ისე ვიცურაო, როგორც შემიძლია. ამჯერად ესეც საკმარისი იქნება. ჩემი მიზანი ოქროს მედლების მოპოვება არაა. მთავარია გავიგო, რამდენად კარგად ვარ ამ ეტაპზე მომზადებული და რაა გასაკეთებელი, რომ პეკინისთვის საუკეთესო ფორმაში ვიყო. 400 მეტრზე შერეულში ერთადერთ სერიოზულ მეტოქედ მარინ ლუკა მიმაჩნია", - განაცხადა ჩეჰმა.

მარინ ლუკა იტალიელი მოცურავეა, ვინც წინა ჩემპიონატზე, სწორედ 400 მეტრზე შერეულ სტილში მოიპოვა ოქროს მედალი. ის იმითაცაა ცნობილი, რომ მანოდუს ბოიფრენდია, რომლის გამოც, შარშან მანოდუ საფრანგეთიდან იტალიაში გადაბარგდა (მოქალაქეობის შეცვლის გარეშე). ლუკა ამ სეზონში არ ბრწყინავს, მაგრამ შარშან სწორედ მან აგემა ჩეჰს მის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი მარცხი (ევროპის ჩემპიონატზე).

ნისტრანდი მოკლე აუზის სპეციალისტია. ერთი თვის წინ, ბერლინში, მსოფლიოს თასის ეტაპზე ასპარეზობისას, მან მსოფლიოს ორი რეკორდი გააუმჯობესა. ნისტრანდმა წინა ორ ოლიმპიადაზე (სიდნეი-2000 და ათენი-2004) იასპარეზა, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია. ის პეკინშიც აპირებს გამოსვლას და იმედოვნებს, რომ კარიერის დასრულებამდე, აუცილებლად შეძლებს ოლიმპიური მედლის (ნებისმიერი ხარისხის) მოპოვებას. დებრეცენში ნისტრანდი 50 და 100 მეტრზე თავისუფალ სტილში იასპარეზებს.

ჩემპიონატის კიდევ ერთი ვარსკვლავი იტალიელი **ფილიპო მანინია**, რომელიც ფორმაში არაა და სავარაუდოა, რომ გაუჭირდება მედლებისთვის ბრძოლა.

რაც შეეხება მანოდუს, მან იტალიაში ცოტა ხანი დაჰყო – იქაურ მწვრთნელებს ვერ შეეწყო და კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა, სადაც თავისი ძმის, **ნიკოლა მანოდუს** მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ბევრი ვარაუდობდა, რომ მზადების პროცესის რამდენჯერმე დარღვევის გამო, ფრანგი მოცურავე სეზონის მინურულს ცუდ ფორმაში იქნებოდა, მაგრამ იმავე ბერლინში, რამდენიმე გაცურვა მოიგო, 200 მეტრზე თავისუფალ სტილში კი ევროპის რეკორდი (მოკლე აუზისთვის) განაახლა.

ვარსკვლავი

მეივეზერს დასვენება სურს



ფლოიდ მეივეზერი თავის შვილებთან: (მარცხნიდან) შამარისთან, კორაუნთან და ლიანასთან ერთად

მას შემდეგ, რაც გასულ სზეონში ორი სუპერ ვარსკვლავი, **ოსკარ დე ლა ჰოია** და **რიკი ჰატონი** დაამარცხა, როჭოს წონაში WBC-ს ტიტულის მფლობელმა **ფლოიდ მეითეზერ უმცროსმა** განაცხადა, რომ ორი წელი ბრძოლას არ აპირებს, მერე კი რინგზე იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ მისი შესაფერისი დონის მოკრივე გამოინვევს.

მეივეზერმა გასულ უქმეებზე, ლას ვეგასში ჰატონს ნოკაუტი აგემა (ბრიტანელისთვის ეს პირველი წაგებაა) და პროფესიულ რინგზე მოპოვებულ გამარჯვებათა რაოდენობა 39-მდე გაზარდა. მეივეზერს პროფესიულ კარიერაში ჯერ წაგების სიმწარე არ უგემია. მსგავსი მიღნევა კი ამჟამად როჭოს წონაში მხოლოდ პუერტორიკოელ **მიგელ კოტოს** (31-0) აქვს, ვინც ერთი თვის წინ **შეინ მოსლის** ქულებით მოუგო და WBA-ის ჩემპიონის ქამარი შეინარჩუნა.

მოსლისთან გამარჯვების შემდეგ, კოტომ ბრძოლაში მეივეზერი გამოიწვია. მაგრამ ამერიკელი სუპერვარსკვლავი მას აქამდე იგნორირებით პასუხობს. სხვათა შორის, ადრე ასე იქცეოდა ჰატონის მიმართაც, მაგრამ დე ლა ჰოიასთან გამარჯვების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც წასვლაზე ალაპარაკდა, ჰატონის პირველივე გამოწვევას თანხმობით უპასუხა.

ახლა ის ანალოგიურ ვითარებაშია. კოტო ის მოკრივეა, ვისთან ბრძოლაც მეივეზერს ბევრს არაფერს შემატებს (ასე მეტოქეები არასოდეს გამოელევა). ერთადერთი სატყუარა, რომლითაც ის შეიძლება კვლავ ავიდეს რინგზე, სოლიდური გასამრჯელოა. მაგრამ ცნობილი ამბავია, რომ კოტოს ბრძოლები ბევრ მაყურებელს არ იზიდავს...

არსებობს კიდევ ერთი სატყუარა – მეივეზერის გაღიზიანება. ამ საქმეში კი დიდი გამოცდილება აქვს კოტოს პრომოუტერ **ბობ არუმს** (ტოპ რენკსი), ვინც არცთუ დიდი ხნის წინ, მეივეზერის პრომოუტერიც იყო და კარგად იცის, როგორ შეიძლება მასზე ზემოქმედება.

არუმი ამბობს, რომ მეივეზერის და კოტოს ბრძოლა კრივის კიდევ ერთი დიდი მოვლენა შეიძლება გახდეს. მაგრამ ფლოიდი რინგზე არ ავა, თუ დარწმუნებული არ იქნება თავის გამარჯვებაში, ყველაფერს ეცდება, რომ მიგელს იგნორირებით უპასუხოსო.

"თუ ფლოიდი თვლის, რომ შეიძლება კოტოსთან დამარცხდეს, მაშინ მის წინააღმდეგ ბრძოლას არანაირად არ დათანხმდება. ის ყველაზე მეტად მარცხს უფრთხის, სურს რომ როცა სპორტიდან წავა, წაგება არ ჰქონდეს. ამიტომ, არასოდეს ხვდება ისეთ მეტოქეს, რომელსაც მოგების შანსი აქვს", - ამბობს არუმი. თუმცა, მეივეზერს სხვა საზრუნავი აქვს.

"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თანამედროვე კრივის სახე ვარ, მაგრამ მაინც უნდა წავიდე. ოდესღაც მითქვამს, რომ სპორტიდან მანამ უნდა წავიდე, სანამ ამის გაკეთებას სხვა მაიძულებს. ახლა მე ზენიტში ვიმყოფები და ვგრძნობ, რომ წასვლისთვის ამაზე ხელსაყრელი მომენტი არ მექნება", - ამბობს მეივეზერი.

და მაინც, კოტო თავის ჯერს მოთმინებით ელის. ის დარწმუნებულია, რომ ოდესმე ისიც დაიმსახურებს კრივის სპეციალისტთა და მოყვარულთაგან ისეთ აღიარებას, როგორიც მეივეზერმა უკვე დაიმსახურა.

"ფლოიდს თუ ჰკითხავთ, აპირებს თუ არა ჩემთან ბრძოლას, ის გიპასუხებთ, რომ მე ფანების მიზიდვა არ შემიძლია და ამიტომ, ჩემი ბრძოლით დიდი ფულის შოვნა შეუძლებელია. მაგრამ ის ცდება. მან კარგად იცის, როგორი მოკრივეა მიგელ კოტო და მასთან შეხვედრას გაურბის", - ამბობს კოტო.

მაგრამ მეივეზერი სულ სხვა რამეზე ფიქრობს. "მინიმუმ ორი წელი ბრძოლას არ ვაპირებ. ამ დროს ოჯახთან ერთად გავატარებ, მერე კი გადავწყვეტ, დავბრუნდე, თუ კარიერა დავასრულო. კრივში თითქმის ყველაფერს მივაღწიე, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო. ამ საქმემ გადამლალა, უმჯობესი იქნება, თუ საპრომოუშენო საქმეს გავყვები. ახლა პროფესიის შეცვლისთვის საუკეთესო მომენტი მაქვს", - ამბობს მეივეზერი.

13 დეკემბერი. ხუთშაბათი

I არხი

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

HTB-პლუსი (უკრაინა)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ინტერი.
15:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-მანჩესტერი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეინჯერსი-ლიონი.
19:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფენერბაჰჩე-ცსკა.
21:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:35 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:40 ტოქ-შოუ - 2:1.
22:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
00:40 მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის. 1/2 ფინალი.
02:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

SPORT 1 (უკრაინა)

08:30 მინი-მოედანი.
09:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ლივერპული.
10:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია.
13:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:35 სპორტკლუბი.
14:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შალკე-რუსენბორგი.
16:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
18:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
20:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეინჯერსი-ლიონი.
22:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. ოლიმპია-მონტეპასკი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია.
03:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შალკე-რუსენბორგი.
06:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

EUROSPORT

11:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
12:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. უნგრეთი (LIVE).
14:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 20 კმ. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
16:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. V დღე. ტელფორდი.
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. 20 კმ. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
19:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. უნგრეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS98. კვალიფიკაცია. ვილახი. ავსტრია.
22:15 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. VI დღე. ტელფორდი.
23:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. VI დღე. ტელფორდი (LIVE).
02:00 პროფესიული კრივი. ავსტრია.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პოდგორიჩკა (ჩერნოგორია)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი).
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ციურიხი (შვეიცარია)-ანკარა (თურქეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. VI დღე. ტელფორდი.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი. ევროპის ტური.
22:30 ახალი ამბები.
23:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პოდგორიჩკა (ჩერნოგორია)-პანათინაიკოსი (საბერძნეთი).
01:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ციურიხი (შვეიცარია)-ანკარა (თურქეთი).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ევროსპორტის ჩემპიონები. როჯერ ფედერერი.
02:45 ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
03:15 ახალი ამბები.

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

კლუბები. 1/2 ფინალი

ეგუალი-ბოკა ხუნიორსი	0:1

ინგლისი

კონფერენსი

ფარნლი-ბრეკი	1:2

ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ვესტ ჰემი-ვოლვერჰემპტონი	1:2

იტალია

სერია C1/A

ფიორენტინა-სასუოლო	1:1
ლეჩეი-ვერონა	0:0
ლეონეი-კალიარი	0:0
მანფრედონია-კრემონეზე	0:0
ბოლონა-ვენეცია	0:0
ნოვარა-ბრეშია	2:2
პ

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

E ჯგუფი

რეინჯერსი–ლიონი 0:3

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, კუელიარი, ჰაპაჩი (71. დარშევილი), უიტეკერი, ფერგიუსონი, ემდანი (84. ბოიდი), ტომსონი, მაკკალოხი, კუზენი (46. ნეისმიტი).

ლიონი: ვერკუტრი, კლერი, ანდერსონი, სკილაჩი, გროსო, კალსტრიომი, ჟუნინიო (85. ბაროში), ტულალანი, გოვუ (77. რევეიერი), ბენზემა, ბენ არფა (68. ბოდმერი).

გოლები: 0:1 გოვუ (16), 0:2 ბენზემა (85), 0:3 ბენზემა (88)

გაძევება: დარშევილი (90. რეინჯერსი)

მაყურებელი: 49 957

არბიტრი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ლიონი
პირველი ჯარიმა: ლიონი
პირველი კუთხური: რეინჯერსი
პირველი გაფრთხილება: რეინჯერსი

7 (4)	დარტყმა	14 (8)
12	ჯარიმა	17
7	კუთხური	3
3	გაფრთხილება	2
58%	ბურთის ფლობა	42%

ბარსელონა–შტუტგარტი 3:1

ბარსელონა: ხორკერა, პუიოლი, ტურამი, მილიტო, სილვინიო, მარკესი, გუდიონსენი (52. კრკიჩი), ჩავი (70. კოლასანი), ჯოვანი, რონალდინიო, ეტო'ო (62. ინიესტა).

შტუტგარტი: შეფერი, ოსორიო, ტასკი, დელპიერი, ბოკა, ფერნანდო მეირა, ბაშთურქი (72. მაისნერი), ანტონიო, ევერტონი, მარიკა (71. ფიშერი), ფარნერუდი (58. ჰილბერტი).

გოლები: 0:1 ანტონიო (3), 1:1 ჯოვანი (36), 2:1 ეტო'ო (57), 3:1 რონალდინიო (67)

მაყურებელი: 52 761

არბიტრი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა
პირველი ჯარიმა: ბარსელონა
პირველი კუთხური: ბარსელონა
პირველი გაფრთხილება: შტუტგარტი

23 (12)	დარტყმა	11 (5)
12	ჯარიმა	6
11	კუთხური	2
1	გაფრთხილება	2
56%	ბურთის ფლობა	44%

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	6	4	2	0	12-3	14
2. ლიონი	6	3	1	2	11-10	10
3. რეინჯერსი	6	2	1	3	7-9	7
4. შტუტგარტი	6	1	0	5	7-15	3

F ჯგუფი

რომა–მანჩესტერი 1:1

რომა: დონი, სისინიო, ფერარი, მექსე, ბარუსო (62. ვუჩინიჩი), ესპოზიტო (62. ჟიული), ანტუნესი, პისარო, ტადეი (46. დე როსი), მანსინი, ტოტი.

მანჩესტერი: კუშჩაკი, სიმპსონი, პიკე, ევანსი, ო'ში (54. ბრაუნი), იგლზი, ფლეტჩერი, ქერიკი, ნანი, საა, რუნი (72. დონგი).

გოლები: 0:1 პიკე (34), 1:1 მანსინი (71), 3:0 ლიდსონი (88)

მაყურებელი: 40 000

არბიტრი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რომა
პირველი ჯარიმა: რომა
პირველი კუთხური: მანჩესტერი
პირველი გაფრთხილება: რომა

23 (8)	დარტყმა	16 (5)
6	ჯარიმა	9
7	კუთხური	12
1	გაფრთხილება	0
56%	ბურთის ფლობა	44%

სპორტინგი–დინამო 3:0

სპორტინგი: რუი პატრისიო, აბელი, ანდერსონ პოლგა, ტონელი, რონი (61. ველოზუ), პონტუს ფარნერუდი (68. ვუკჩევიჩი), მუტინიო, სილვა, იზმაილოვი, ლიდსონი, პუროვიჩი (86. პაესი).

დინამო: ლუცენკო, მარკოვიჩი, დოპილკა, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, გიოანე, გუსევი, რებროვი (80. ბელკევიჩი), შაკკიხი, ნინკოვიჩი, ბანგურა (57. კრავეცი).

გოლები: 1:0 ანდერსონ პოლგა (35-პენ), 2:0 მუტინიო (67), 3:0 ლიდსონი (88)

მაყურებელი: 38 000

არბიტრი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: დინამო
პირველი ჯარიმა: დინამო
პირველი კუთხური: დინამო
პირველი გაფრთხილება: –

22 (11)	დარტყმა	11 (2)
12	ჯარიმა	14
5	კუთხური	5
0	გაფრთხილება	0
59%	ბურთის ფლობა	41%

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	6	5	1	0	13-4	16
2. რომა	6	3	2	1	11-6	11
3. სპორტინგი	6	2	1	3	9-8	7
4. დინამო	6	0	0	6	4-19	0

G ჯგუფი

ეინდჰოვენი–ინტერი 0:1

ეინდჰოვენი: გომეში, მარსელისი, სალსიდო, ალსიდესი, ზონეველდი, მენდესი, სიმონსი, აფელაი (65. აისატი), კულინა, ფარფანი (62. პერესი), ლაზოვიჩი (84. იოჰანსონი).

ინტერი: ჟულიო სეზარი, კორდობა, მატერაცი, რივასი, მაქსველი (86. ძანეტი), სოლარი, ბოლცონი, კივუ (68. კამბიასო), სუასო, კრესპო, კრუსი (75. პუჩო).

გოლი: 0:1 კრუსი (64)

გაძევება: მენდესი (28. ეინდჰოვენი)

მაყურებელი: 35 100

არბიტრი: მარკუს მერკი (გერმანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ეინდჰოვენი
პირველი ჯარიმა: ინტერი
პირველი კუთხური: ინტერი
პირველი გაფრთხილება: –

17 (1)	დარტყმა	11 (3)
13	ჯარიმა	13
3	კუთხური	3
0	გაფრთხილება	0
52%	ბურთის ფლობა	48%

ფენერბაჩე–ცსკა 3:1

ფენერბაჩე: ვოლქან დემირელი, გიოქან გონული, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი (90. ვედერსონი), ალექსი, სელჩუკი, მეჰმეთ აურელიო, უგური (90. კეფმანი), დეივიდი, სემიჰი (70. ქაზიმი)

ცსკა: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, გრიგორიევი, შემბერასი, ალდონინი, ედუარდო (77. ტარანოვი), ფირკოვი, რამონი (46. ოდია), კანერი (46. მამაევი), იანჩუკი.

გოლები: 0:1 ედუ (30-საკ. კარში), 1:1 ალექსი (32), 2:1 უგური (45), 3:1 უგური (89)

მაყურებელი: 28 000

არბიტრი: მატეო ტრეფოლონი (იტალია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ცსკა
პირველი ჯარიმა: ცსკა
პირველი კუთხური: ფენერბაჩე
პირველი გაფრთხილება: ცსკა

24 (13)	დარტყმა	8 (3)
15	ჯარიმა	12
6	კუთხური	1
1	გაფრთხილება	3
53%	ბურთის ფლობა	47%

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინტერი	6	5	0	1	12-4	15
2. ფენერბაჩე	6	3	2	1	8-6	11
3. ეინდჰოვენი	6	2	1	3	3-6	7
4. ცსკა	6	0	1	5	7-14	1

H ჯგუფი

არსენალი–სტიაუა 2:1

არსენალი: ლემანი, სანია (71. დიარა), გალასი, სენდეროსი, ტროაორე, უოლკოტი, სონგი, დენილსონი, დიაბი (71. ებუე), ბენდტნერი, ვან პერსი (65. ედუარდო).

სტიაუა: საპატა, ემეგარა, გოიანი, რადა, ნესუ, ნეაგა (64. ზახარია), პეტრე, ლოვინი, კრისტოჩეა (57. სურდუ), დიკა, ბადეა (81. გოლანსკი).

გოლები: 1:0 დიაბი (8), 2:0 ბენდტნერი (42), 2:1 ზახარია (68)

მაყურებელი: 59 786

არბიტრი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სტიაუა
პირველი ჯარიმა: სტიაუა
პირველი კუთხური: არსენალი
პირველი გაფრთხილება: სტიაუა

15 (5)	დარტყმა	9 (2)
9	ჯარიმა	19
7	კუთხური	0
1	გაფრთხილება	1
55%	ბურთის ფლობა	45%

სლავია–სევილია 0:3

სლავია: ვანიაკი, სუჩი, ბრაბეცი, კრაიჩიკი, ჰუბაჩეკი, შმიცერი (46. იაბლონსკი), ტავარეში, ბელაიდი, პუდილი (74. გაუჩო), ვოლეშაკი (66. ნესიდი), ივანა.

სევილია: დე სანკტისი, დანიელ ალვეში, ლოლო, დრაგუტინოვიჩი, მოსკერა, ნავასი, რენატო (64. მარესკა), ხოსე მარტი, კაპელი, კანუტე (70. დუდა), კონე (59. ლუიშ ფაბიანო).

გოლები: 0:1 ლუიშ ფაბიანო (66), 0:2 კანუტე (69), 0:3 დანიელ ალვეში (87)

მაყურებელი: 13 000

არბიტრი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სევილია
პირველი ჯარიმა: სლავია
პირველი კუთხური: სევილია
პირველი გაფრთხილება: სლავია

6 (2)	დარტყმა	20 (11)
18	ჯარიმა	3
3	კუთხური	4
1	გაფრთხილება	1
45%	ბურთის ფლობა	55%

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სევილია	6	5	0	1	14-7	15
2. არსენალი	6	4	1	1	14-4	13
3. სლავია	6	1	2	2	5-13	5
4. სტიაუა	6	0	1	5	4-10	1

არსენალი სტიაუას მატჩის ეპიზოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თავალგაბიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანელაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად ფაფირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრაქლიძე, მამუკა ძანდარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი (დიღომი, ან. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა